პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 33 სამშაბათი 13 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 33

დღიური

მოსკოვში დაიხურა სრულიად რუსეთის მედიცინის მუშაკთა ყრილობა.

საფრანგეთის ჯარების წინსვლა გერმანიის ტერიტორიაზე — გრძელდება.

დაკავებულ ოლქებში ფრანგების რეპრესიები დღითი-დღე მატულობს.

საფრანგეთის ჯარების ერთმა ესკადრონმა უარი სთქვა სამხედრო ბრძანების ასრულებაზე.

აჯანყებული ირლანდიელები უარს ამბობენ დუბლინის მთავრობის პირობების მიღებაზე.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი აუწყებს პარტიის წევრებს, რომ ბანდიტებ—მენშევიკების ხელით ტრაგიკულად დაიღუპა პარტიის წევრი

ამხ. ობოლაძე

სამშაბათს, 13 თებერვალს, საღამოს 7 საათზე,

შესდგება

სრულიად საქ. აღმასკომის პრეზიდიუმის

სხდომა

ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება დანიშნულ დროს სავალდებულოა.

მდივანი—**ხაბაშვილი.**

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა

პარასკევს, 16 თებერვალს.

ერთიან პარტიულ დღეს

დასვათ საკითხი—წითელი არმიის 5 წლის და საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლების 2 წლის თავი.

თეზისები გამოქვეყნებული იქნება დამატებით.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**მიხ. კახიანი.**

მიწის რეფორმა დასრულდება, მტრები აილაგმებიან!

ასეთია ურყევი ნებისყოფა მშრომელი ხალხის, მისი ხელისუფლებისა და მმართველი კომუნისტური პარტიის საქართველოში.

და ამ მტკიცე გადაწყვეტილებას, ამ გადაჭრილ დირექტივას ანგარიში უნდა გაუწიონ როგორც ჩვენმა ამხანაგებმა ადგილობრივ და მეგობრებმა მშრომელთა მთავრობის, ისე მტრებმა. პირველებმა—იმიტომ, რომ თავიანთი მდგომარეობით სწორეთ ისინი არიან მოწოდებულნი სრულიად საქართველოს ც. აღმასკომის გადაწყვეტილება, ხელმეტ მარტამდე მიწის რეფორმის საბოლოოთ გატარების შესახებ, გადაჭრილათ და დარტყმითი წესით ცხოვრებაში გაატარონ უნაკლულოთ. მეორეებმა—იმიტომ, რომ ყოველი მათი ცდა ამ დიდი საქმის დასაბრკოლებლათ დაიმსხვრევა მთავრობისა და პარტიის უდრეკ ნებისყოფაზე. ხოლო ასეთ ცდას ადგილი აქვს, ხელშემშლელ მუშაობას ფარულათ და ზოგან აშკარათაც ეწევიან, რათა გააბრუნონ აზრი დიდი გადაწყვეტილების, არევ-დარევა და გაუგებრობა გამოიწვიონ მშრომელებში და ამნაირათ აყინული ხელი მოითბონ ასეთ მდგომარეობაში.

ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ არამზადები მენშევიკური პარტიიდან ე. ი. ყველა მენშევიკები დღეს, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დანარჩენ შავ ბრბოებთან უფლება აყრილ თავადაზნაურებიდან და კულაკებიდან, ხმას ავრცელებენ კერძოთ რკინის გზელებში იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელები მიწის ნორმას არ მიიღებენ, რომ ამნაირათ მათთვის გამოსადეგი აღარ არის რკინის გზაზე მუშაობა. კიდევ მეტი, თითქოს მთავრობას განძრახული აქვს მათ ადგილებზე „რუსი" მუშების ჩაყენება და სხვა ასეთი აბდაუბდა.

ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია უარვყოთ ის მტკნარი სიცრუე, რომელსაც შეიცავს ეს ჭორი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ყოველი კატეგორიები სახელმწიფოებრივ სამეურნეო და სხვა დარგებში მომუშავეთა და მათ შორის რკინის-გზელებიც—მიიღებენ ნახევრიდან მთლიან ნორმამდე მიწისას. ყოველისფერი ეს ნათელია. საინტერესო მთელ ამ იწილო-ბიწილობაში არის მხოლოთ ის, თუ რამდენათ დაბლა დაეცნენ, რამდენათ გაიხრწნენ პოლიტიკურათ და მორალურათ ეს ვაჟბატონები, რომლებიც შეადგენენ დღეს მოწინავე რაზმს ყაჩაღურ-თავადაზნაურულ კონტრ-რევოლუციისას საქართველოში.

დამარცხებულების ბრძოლის ველზე, დაშლილების ორგანიზაციულათ, ზნედაცემულების პოლიტიკურათ, ნდობა დაკარგულებს მასებში, კუდამოძუებულებს ყველა კრებებიდან და საზოგადოებრივ-ეკონომიურ ორგანიზაციებიდან, სადაც ისინი სულ უკანასკნელ ხანებამდე აწარმოებდნენ ლეგალურ მუშაობას საქართველოს მშრომელთა და მათი ხელისუფლების წინააღმდეგ—მენშევიკების და მათ ამალას მემარჯვენე ფედერალისტებიდან და თავად-აზნაურულ-კულაკურ ნაძირალებიდან დღეს არარასფერი აღარ შერჩენიათ გარდა იმისა, რომ ავანტიურის უფსკრულში და საბრალო შავი დემაგოგის წუმპეში გადაეშვან, თუ თავიანთ ძველი მდგომარეობის აღსადგენათ არარაც ხერხემალ გატეხილებს აღარ ძალუძთ—ყოველ შემთხვევაში არევ-დარევისა და გაუგებრობის მღვრიე წყალში გულუბრყვილოთა მოსატყუებლათ და ანკესზე დასაჭერათ.

ცხადია როგორი იქნება ამ ვაჟბატონების ხვედრი. კიდევ და კიდევ—უკვე რომელჯერ!—ატუზული დარჩებიან ისინი გამტყდარი გობის წინაშე, ილიუზიებ დამსხვრეულნი და ილაჯ გაწყვეტილნი. ამ გზით მიიმართება მთელი სინამდვილე ჩვენი ცხოვრების. ამასვე დაამტკიცებს ურყევი გატარება მემამულეებისაგან მათი ქონების ართმევის და მშრომლებზე გადაცემის, ე. ი. აგრარული რეფორმის საბოლოო გამარჯვების, რომლის წინააღმდეგ ისინი გამოდიან დღეს ყველა დანარჩენ კონტრ-რევოლუციონერებთან და ნაძირალებთან ერთად.

განათლების მუშაკთა ყრილობის შემდეგ

განათლების მუშაკთა ეხლახან დასრულებული მეორე ყრილობა განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ყრილობაზე მოხდა აზრების ცხოველი გაზიარება ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატებ შორის. აქ გადაიშალა სწავლა-განათლების მდგომარეობის ნამდვილი სურათი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; აქ დასახულ იქნა გზები განათლების საქმის უკეთ დასაყენებლად და ამ დარგის მუშაკთა უზრუნველსაყოფად; აქ მოისმინეს მოხსენებები ხალხის განათლების ფრონტში და მის მუშაკთა კავშირის მუშაობაში განსახორციელებელ უახლოეს ამოცანების შესახებ და სხ.

ყველაფერი ეს ფრიად მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა.

მაგრამ ყრილობის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება, უფრო მეტი: მისი მთავარი აზრი და ღირებულება სხვა ხასიათისაა.

ყრილობამ ერთი რამ გამოააშკარავა სავსებით, სახელდობრ ის ფაქტი, რომ განათლების მუშაკთა ფსიქოლოგიასა და პოლიტიკურ შეგნებაში მოხდა არსებითი გარდატეხა.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ საბჭოთა წყობილების დამყარების დროიდან, ნაწილი ჩვენი მშრომელ ინტელიგენციისა, ერთგვარი ეჭვის თვალით და უნდობლობით უყურებდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ის ერთბაშად ვერ შეეთვისა მომხდარ ცვლილებებს, ვერ შეიგნო მისი ნამდვილი აზრი. კერძოდ მისთვის ნათლად არ იყო გარკვეული ახალ ხელისუფლების დამოკიდებულება ნაციონალური საკითხისა და ქართველი ხალხის კულტურისადმი. ერთგვარი გასავალი ჰქონდა მათში მენშევიკების პროვოკაციას, რომელნიც სახავდნენ კომუნისტებს ბარბაროსებად, ერის უფლებების უარყოფლებად და მისი კულტურის გამანადგურებლებად.

მაგრამ სინამდვილე, კომუნისტების და საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა სულ სხვას მეტყველებდა. დაცვა ხალხის, მის როგორც ნივთიერ და უფლებრივ ინტერესების, ისე მის ჯანსაღ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეადგენდა მმართველი პარტიის და მუშურ-გლეხურ მთავრობის ბრძოლის და ყოველდღიურ მუშაობის საგანს.

ეს ცხადი გახდა ყოველი მიუდგომელი და პატიოსანი მოქალაქისათვის.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა უპარტიო მშრომელი ინტელიგენციისათვის, კერძოდ მასწავლებლობისათვის, რომელიც უშუალოდ მოწოდებულია ემსახუროს ხალხის განათლების საქმეს.

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ მასში ხდება ძირითადი გარდატეხა, მოვლენათა ხელახალი და კრიტიკული გადაფასება, ის თავს ანებებს უნდობლობას, სკეპსისს, ლოდინს; ის იმსჭვალება საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისით და არა შიშის, არამედ სინიდის ქვეშ, გულწრფელად მოწადინებულია მასთან ერთად იმუშაოს ხალხის საკეთილდღეოდ, მისი გამოსაყვანად დღევანდელი უმეცრების და სიბნელის მორევიდან. მასწავლებელთა ჯანსაღ ნაწილმა გამონახა ის საერთო ენა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან, რომელზედაც ლაპარაკობდა ყრილობაზე ამხ. მამია ორახელაშვილი თავის მისასალმებელ და იმავე დროს რამდენიმედ საპროგრამო სიტყვაში.

განათლების მუშაკთა ყრილობამ ეს ცხადყო.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს დიდი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლების.

ჩვენ საფუძველი გვაქვს ვსთქვათ, რომ მასწავლებლობის პოლიტიკური გათვითცნობიერების პროცესი უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება, და ის შეიქმნება მშრომელთა ბატონობის ერთ ერთ საიმედო დასაყრდენად.

რევოლუციის იდეალების რკალში მოქცეული მასწავლებლობა მოახერხებს პედაგოგიურ ასპარეზზე თავის ამოცანების პირნათლად შესრულებას, ის შესძლებს ამ გზაზე აღმართულ დაბრკოლებათა გადალახვას.

მისი მუშაობა ამასთან არ შემოიფარგლება სკოლის ვიწრო კედლებით, არამედ ის გახდება საბჭოთა იდეების გამტარებელი მშრომელ მასსაში, კერძოდ სოფელში ის დიდათ შეუწყობს ხელს გლეხობის გათვითცნობიერებას.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მასწავლებლობა ამ გზით წავა და ის სავსებით ღირსი გახდება იმ მაღალი როლის და დანიშნულების, რომელსაც აკისრებს მას მშრომელთა სახელმწიფო.

კრიზისი „ფორმალური" დემოკრატიის

ამ კრიზისზე მოუხშირეს წერა დღეს.

ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ჩვენ გაზეთში ბ. მარტოვის აზრი. ის აღშფოთებულია მით, რომ მთელ რიგ პარლამენტალურ ქვეყნებში, სადაც მართვა-გამგეობა უნდა იყოს კონსტიტუციის ძალით წარმომადგენლობითი დაწესებულებაში, ის ხელში, რომელიც საყოველთაო ხმის მიცემით არის არჩეული, ნამდვილათ მართავს უპასუხისმგებლო სამხედრო კასტა, ამსრულებელი ერთი მუჭა კაპიტალისტების ნება-სურვილის. ამნაირათ მარტოვის აზრით—ძალიან დააგვიანა მან ამ აზრით!—„სახელია" ფორმალურათ ხალხის, დემოკრატიის, „საბრავი" კი—მსხვილი კაპიტალის. როდესაც ჩვენ, კომუნისტები, თანახმათ მარქსის და ენგელსისა, რომლებმაც მოგვეცეს გამანადგურებელი კრიტიკა „დემოკრატიისა" საზოგადოთ და ამერიკის „დემოკრატიის" კერძოთ, როდესაც ჩვენ ამ თვალსაზრისით მივუდექით საკითხს ხელისუფლების ბუნების შესახებ და კრიტიკის ქარცეცხლში გავატარეთ ეგრედწოდებული „დემოკრატია", ჩვენ ვპოვეთ საერთო წინააღმდეგობა როგორც მარტოვისებური, ისე მსხვილ ბურჟუაზიულ „დემოკრატების" მხრივ. დღეს კი არა მარტო მარტოვი, არამედ თვით ის ცნობილი ბურჟუაზიული პოლიტიკოსებიც, რომლებიც შეურაცხყოფილი არიან უფრო მძლონებელთა უფრო ძლიერი ჯგუფებისაგან, ოპოზიციაში უდგანან პარლამენტარიზმს. საინტერესოა ამ მხრივ ფრანგულ გაზეთ „მატენ"-ის გამოსვლები.

რაში მდგომარეობს კრიზისი პარლამენტარიზმის—კითხულობს გაზეთი.

„პარლამენტარიზმის კრიზისს ღრმა მიზეზები აქვს. პარლამენტის მოვალეობაა კონტროლი. ამისთვის კი საჭიროა იცოდე სად რა კეთდება, ხოლო პარლამენტს კი არაფერს არ უმხელენ ამის შესახებ".

„ირჩევს პარლამენტი კომისიებს ინფორმაციის მისაღებათ. კომისიები ავალებენ ამას მომხსენებლებს. სად უნდა შეკრიბონ ამ უკანასკნელებმა ცნობები? კანცელიარიებში. ამნაირათ ადმინისტრაციას დაქვემდებარებული ყავს სუვერენული ხალხის წარმომადგენლები. როგორ უნდა ებრძოლო ასეთ მდგომარეობას? მიმართო კერძო პირებს სახელმწიფოს წინააღმდეგ? მაგრამ მათი უმრავლესობა თავს იკავებენ რამე სთქვან, ხოლო ვინც ამბობს რამეს, ამასაც კერძო ინტერესების ბეჭედი აზის. გამოდის, რომ მუხლი უნდა მოიდრიკო ან ჩინოვნიკების ან და კერძო პირების წინაშე. ასეთია სამწუხარო ალტერნატივა". („მატენი" 27 დეკ.)

ამ საინტერესო სიტყვების ავტორია ჰანრი დე-ჟუვენელი, ე. ი. საფრანგეთის ერთი იმ პოლიტიკოსთაგანი, რომელმაც კარგად იცის „где раки зимуют", შინაური კაცია ყველა დიპლომატიური კულისების და ერთი „გმირთაგანი" სიბნელით მოცულ საფრანგეთის დიპლომატიური „სამზარეულოს" ჯურღმულების, სადაც მზადდება მსხვილი ფინანსების სასარგებლოთ სისტემატიური შეთქმულებანი საფრანგეთის მშრომელი მასების წინააღმდეგ და მსოფლიოს მშვიდობიანობის ასაფორიაქებლათ.

ეჭვს გარეშეა, ვილაცას სადღაც ეს ვაჟბატონი ვერ მორიგდა, ვილაცამ სადღაც შეურაცხყო ის ან ის ჯგუფი, რომლის ინტერესს იცავს და ისიც აწარმოებს დღეს კრიტიკას ვითომდა პრინციპიალურათ პარლამენტის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. აქ საქმე გვაქვს ბრძოლასთან სხვა და სხვა ბურჟუაზიულ ჯგუფებს შორის, რომელთაგან ერთი უკეთესათ იყენებს საიდუმლოებით მოცულ საფრანგეთის დიპლომატიას და ხელიდან გლეჯს „ლუკმას" მოწინააღმდეგე მხარეს. და თუ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ აქ მოვიყვანეთ საკმაოთ გრძელი ამონაწერი ბ. ჟუვენელის წერილიდან—ეს იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეები, როდესაც ისინი ერთმანეთს ყრონტში სწვდებიან, ისეთ სიმართლეს გამოახმაურებენ ხოლმე, რომელთა მოსმენა ჭკუის მასწავლებელია ეგრედ წოდებული „დემოკრატიის" ზოგიერთ ფანატიკოსებისათვის და ღირს ასეთ განცხადებებზე ყურადღების შეჩერება.

ბ. ჟუვენელის სიტყვებში თავისთავათ ახალი არაფერია. საინტერესოა იქ მხოლოდ ის, რომ მოწინააღმდეგე ბანაკიდან ისმის ხმა, ხმა სულ სხვა მოსაზრებითა და სხვა მიზნით ამოღებული, რომელიც სურს ეს თუ არა ავტორს—და რასაკვირველია სუბიექტიურათ ეს მას არ სურს—ადასტურებს ჩვენ კრიტიკას „ფორმალური" დემოკრატიისას.

მსხვილმა ფინანსებმა დაიმორჩილა და გახრწნა „დემოკრატიული" ინსტიტუტები თანამედროვე სახელმწიფოებში. საყოველთაო და სხ. საარჩევნო სისტემა და ამ სისტემიდან გამოსული წარმომადგენლობითი დაწესებულებები შეიქნენ შირმათ, რომლის შიგნით საიდუმლო მუშაობას ეწევიან ძლიერი ჯგუფები ფინანსისტებისა და მძიმე ინდუსტრიის „სუვერენული ხალხის" და მის „კანონიერ" რწმუნებულთა ზურგს უკან. არც ერთი საკითხი საერთაშორისო პოლიტიკის, იმ პოლიტიკის, რომელიც აძლევს ბოლოს და ბოლოს მთელ მიმართულებას ქვეყნის შინაური საქმეების მიმდინარეობას, განსაზღვრავს შინაურ პოლიტიკას, არც ერთი ასეთი საკითხი, ვამბობთ ჩვენ, არ სწდება „სუვერენული" ხალხის წარმომადგენლობით დაწესებულებათა მიერ ფინანსისტებისა და მრეწველების ერთი მუჭა წარმომადგენლების ინტერესების, მათი ნება-სურვილების წინააღმდეგ. კლასიკურ მაგალითებს ამ პარლამენტების ასეთი გახრწნისას წარმოადგენენ „ქებული" დემოკრატია" ამერიკის, სახელი გაითქვა საფრანგეთმაც განსაკუთრებით მესამე რესპუბლიკის ხანაში და ესევე დამახასიათებელია ყველა „დემოკრატიული" სახელმწიფოებისთვის დღეს.

ჭეშმარიტი დემოკრატია, შესაძლებელია დღეს ფინანსიური კაპიტალის გახრწნილი გავლენის განადგურებით. ჭეშმარიტი დემოკრატია შესაძლებელ მქონებელ კლასების დამხობის, მათგან საარჩევნო უფლების ართმევისა და მხოლოდ მშრომელთა ხმის მიცემის შემდეგ: ერთი სიტყვით ის არის შესაძლებელი მხოლოდ საბჭოთა სისტემის დროს.

ამის დამამტკიცებელ საბუთებს იძლევა სხვა და სხვა „სკანდალში" დღევანდელ პარლამენტარულ ქვეყნებში და რაც უფრო გაძლიერდება ეს სკანდალები, რაც უფრო ხშირი იქნება ბ. ჟუვენელისებური გამოსვლები, მით უფრო აშკარათ ხდება „ფორმალური დემოკრატიის" კრეტინებისა და დღემდე მოტყუებულ ფართო მასებისათვის, რომ ერთად ერთი ხსნა მდგომარეობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აპარატის დამსხვრევაში და საბჭოთა რეჟიმში.

ნ. ქ.

ინტერნაციონალური პროლეტარიატის დახმარება

(სესხი საბჭოთა რუსეთისათვის)

გენუისა და ჰააგის კონფერენციებში მონაწილეობით ჩვენ ვცდილობდით დაგვეძლია მთლიანი სისტემა ეკონომიური ბლოკადისა, რომლითაც შემორტყმული იყო და **არის კიდევ** საბჭოთა რესპუბლიკები მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ ამ ბლოკადის რკალი სწყდება. ამნაირათ ეს უმთავრესი ამოცანა კვლავ წამოჭრილია საბჭოთა კავშირის წინაშე და უცდის მოხერხებულ დროს თავის გადაწყვეტის დაწყებისას.

მაგრამ ასეთი მომენტის მოლოდინში საბჭოთა ქვეყნები ვერ დაიკრებდნენ ხელებს გულზე. საჭირო შეიქნა გვეპოვა სხვა გზა ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინებისათვის აუცილებელი რესურსების გამოსანახავად.

მოკლებულმა საგარეო სესხს ბურჟუაზიისაგან, საბჭოთა ხელისუფლებამ მიმართა ამ მიზნით შინაურ კრედიტს და ეს ცდაც გამარჯვებით დათავდა პირველი პურის სესხის სრული რეალიზაციით: ამას მოჰყვა მეორე ცდა ოქროს სესხისა, რომელთა ობლიგაციების მოთავსება ისევ წარმატებით მიმდინარეობს შინაურ ბაზარზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში. საბჭოთა დიდი კავშირის კედლების გადაღმა არასფერია ამ მხრივ, ე. ი. უცხოეთის კაპიტალისაგან სესხის აღების მხრივ, არ კეთდებოდა, როდესაც წამოიჭრა იდეა მუშათა ინტერნაციონალური სესხის შესახებ.

როგორც ცნობილია, რუსეთში სიმშილობის დროს საზღვარ გარეთ მუშაობდა სპეციალური ორგანიზაცია, რომელმაც ევროპის მუშათა შორის შემოწირულებათა მოგროვებით დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა მთავრობას სიმშილის საშინელებასთან საბრძოლველად.

როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთში, სიმშილობასთან მებრძოლი ორგანიზაციები, საზღვარ გარეთაც, მას შემდეგ, რაც მოხდა ლიკვიდაცია ამ საშინელების, გადაკეთდნენ სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ დაწესებულებებათ. მათი მზრუნველობის საგნათ შეიქნა ამიერიდან დანგრეული მეურნეობის (სოფლის და ქალაქის) აღორძინება და მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ამნაირათ „ინტერნაციონალურ მუშათა დახმარების" ორგანიზაციაში დაიბადა იდეა საერთაშორისო მუშათა სესხის გამოშვებისა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ. სესხის რეალიზაცია, რომლის რაოდენობა უდრის ერთ მილიარდ დოლლარს, მინდობილი აქვს სპეციალურ კომისიას, შემდგარს ყველა ქვეყნების ცნობილ მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების და ლიტერატორებისაგან. ამ მოკლე ვადიანი (10 წლის) სესხის გადახდის გარანტია მისცა დაინტერესებულთ საბჭოთა მთავრობამ წარსული წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებულ დეკრეტით. სესხის გადახდა დაიწყება 1933 წლის პირველი იანვრიდან. გამოშვებულია უკვე ობლიგაციები 1,10 და 100 დოლარის ღირებულების და 1000, 5000, 10,000 და 100,000 გერმანული მარკის ღირებულების. განსაკუთრებით გერმანიისა და საერთოთ ევროპის მუშათა პრესაში სწარმოებს დღეს ფართო აგიტაცია ამ სესხის სასარგებლოთ. მასზე ხელის მომწერთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ მუშები და მათი ორგანიზაციები და ჩვენის ცნობით ხელის მოწერა მიმდინარეობს დიდის წარმატებით.

თავისთავათ ცხადია, რომ ეს სესხი ვერ ამოავსებს იმ ჭრილობის ნაპრალებს, რომლებიც გაფანტულია ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო ორგანიზმზე და რომლებიც მიაყენა მას იმპერიალისტურმა, შემდეგ სამოქალაქო ომმა და დაბოლოს ბლოკადამ. მაგრამ, როგორც პირველი ცდა ამ ბლოკადის გასარღვევათ სესხის აღების საქმეში, ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს უაღრეს მნიშვნელოვან ისტორიულ აქტათ. როგორც სამხედრო ინტერვენციების ხანაში დასავლეთის პროლეტარიატი იყო ის ძალა, რომელიც აჩლუნგებდა თავისი ბრძოლითა და პოლიტიკური გავლენით ბასრ პირს ამ ინტერვენციის მახვილისას, ისე მუშათა საერთაშორისო დახმარება, ასეთი ერთსულოვანებით დაწყებული, მაჩვენებელია იმის, რომ ეკონომიურ ბლოკადასაც ყავს აქტიური მოწინააღმდეგე—ამ შემთხვევაში უკვე ფინანსიურ-ეკონომიურ სფეროში—რომელიც შეასუსტებს ამ ბლოკადის ეფექტს და საერთო ძალღონით მოუმზადებს მას ფინალს სამხედრო ინტერვენციისას. გარდა იმისა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი და მისი ორგანიზაციები—ხელისმომწერნი ამ სესხზე, დარწმუნებული არიან იმაში, რომ დაპირებულ დროს მათ გაუნაღდდება რეგულიარულ (5 პროც.) პროცენტებთან ერთათ თავიანთი გამოზოგილი პატარა-პატარა თანხები, რომლებიც საერთოთ შეადგენენ ერთ მილიარდ დოლლარს, გარდა იმისა შემდეგ, რომ ისინი უწევენ ამ სახით დახმარებას მათ თავიანთ ძმურ, პროლეტარულსავე სახელმწიფოს, რომელიც არის ერთათ ერთი შეიარაღებული ძალა და ერთათ ერთ რეალური იმედი მოწოლილ რეაქციასთან ბრძოლის დროს, დღეს, და ამ ბრძოლის პერსპექტივებშიც, გარდა ყოველივე ამისა, ეს სესხი და მის ირგვლივ მიმდინარე აგიტაცია, მთელი მოძრაობა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ, არის უაღრესი გამოხატულება საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის, სოლიდარობის არა მარტო სიტყვით და საზეიმო დეკლარაციებით, რომელთაც თავისთავათაც დიდი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ არამედ სოლიდარობის საქმით, რეალური, ხელშესახები დახმარებით. თუ რომელიმე მაგალითში შეეძლო ეპოვა გამოხატულება იმ ჭეშმარიტებას, რომ „ერთი ნაბიჯი ნამდვილი მოძრაობისა უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ დიუჟინი პროგრამა"—ეს უეჭველათ შეიძლება ითქვას სწორეთ ამ შემთხვევაში, საერთაშორისო სესხის გატარებაზე. და ჩვენც ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ, როგორც ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომლის ხელშია ეს დიდი საქმე, ისე სულისკვეთება იმ მასების, რომლებიც ამოძრავებული არიან დღეს ამ საქმისათვის, უტყუარი თავდებია იმის, რომ დაწყებული საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება და კავშირი საბჭოთა რუსეთისა და ევროპის პროლეტარიატს შორის კიდევ უფრო განმტკიცდება და გამძლავრდება.

ხოლო თუ ოდესმე იყო საჭირო ასეთი კავშირი, მით უფრო დასანახი ხდება მისი აუცილებლობა დღეს, როდესაც ბურჟუაზიული სამყარო კვლავ ამზადებს ახალი ომების ქარიშხალს—ერთის მხრით და კაპიტალი შეტევაზეა გადმოსული პროლეტარიატის წინააღმდეგ—მეორეს მხრივ. ერთი სიტყვით საჭიროა ეს კავშირი იმ დროს, როდესაც მზადდება პირობები სამოქალაქო ომებისათვის ბებერ ევროპაში.

Observer.

საქადრის „ჯილდოს" მიიღებთ!

ოზურგეთიდან მივიღეთ აღმაშფოთებელი ცნობა: მენშევიკ-ბანდიტებს მოუკლავთ ამხ. ობოლაძე, მასთან კიდევ ორი, საბჭოთა სამსახურში მყოფი პატიოსანი მუშაკი.

თეთრი ტერორი ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აი, მენშევიკების ბრძოლის ახალი მეთოდი.

მათ იმედი ჰქონდათ მშრომელთა ბატონობის დამხობისა უცხოეთის ძალებით, ჩვენი ქვეყნის დაპყრობისა იმპერიალისტური ჯარებით. და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ზოგავდნენ, არ ჩერდებოდნენ არავითარი საშუალების წინაშე.

მაგრამ მათმა ცდამ არ გასჭრა, იმედი დღითი-დღე უცრუვდებათ, თუმცა ეხლაც დახოხავენ პუანკარესა და სხვათა წინაშე.

საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცემ და თვით ბურჟუაზიული მსოფლიოს ფრიად აწეწილმა მდგომარეობამ შეუძლებელი გახადა ამ უკანასკნელის შეიარაღებული გამოლაშქრება ჩვენზე.

მენშევიკები სულ მუდამ გაიძახოდნენ, რომ ისინი წარმოადგენენ მასსიურ პარტიას, რომელიც თავს უყრის მთელ ქართველ ხალხს. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი მუშაობის მეთოდია ხალხის ორგანიზაციული დარაზმვა „ოკუპანტების" წინააღმდეგ.

მაგრამ რამდენად უსაფუძვლო იყო ასეთი ტრაბახი, ეს უამრავჯერ აშკარა გახდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორი წლის განმავლობაში. მიუხედავად დიდი მზადებისა და ცდის, მათ ვერ მოაწყვეს ვერც ერთი ფართო და მასიური გამოსვლა. ისინი აღმოჩნდნენ ხალხისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან სავსებით გარიყულნი. მათ ჰპოვეს მოკავშირენი მხოლოდ ბრწყინვალე თავადებში, მემამულეებში, მეფის ოფიცრებში, ბანდიტებში და საზოგადოების ყოველ ჯურის ნაძირალებში. კერძოდ ჩოლოყაშვილის „აჯანყებამ" ეს თვალსაჩინო გახადა ყველასათვის.

ამ გვარად, არც საზღვარ-გარედან დახმარების, არც შიგნით, ხალხის აჯანყების გზით საბჭოთა მთავრობის ჩამოგდების და თავის ძალა-უფლების დაბრუნების იმედი მენშევიკებს არ გაუმართლდათ. რა დარჩენიათ ასეთი მწარე გაკვეთილების შემდეგ მათ?—ესაა, როგორც ვთქვით, ტაქტიკა თეთრი ტერორის, გზა უკიდურესი ავანტიურის.

ამას მოწმობს მათ მიერ გურიაში ჩადენილი მკვლელობა.

ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ტაქტიკა მეტად სახიფათოა, პირველყოვლისა მისი ავტორებისათვის.

მენშევიკების ავაზაკური ხელებით ერთი და თუნდაც ათეული საუკეთესო კომუნისტების განგმირვა ჩვენ რიგებს ვერ დაშლის. დახოცილ ამხანაგების ადგილს დაიჭერენ სხვები, რომელნიც ფხიზლად იდგომებიან რევოლუციის სადარაჯოზე, რომელნიც ძირშივე ჩაჰკლავენ ხალხის მტრების მუშაობას.

ამასთან ჩვენ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ მენშევიკ—ავაზაკებს ჩვენ არ მივცემთ დანაშაულებრივი მოქმედების საშუალებას.

მენშევიკებმა დაიწყეს თეთრი ტერორი.

ჩვენ ვიღებთ ამ გამოწვევას და რკინის ხელით ავლაგმავთ ავანტიურისტებს.

X.

ამხ. საშა ობოლაძე

11 თებერვალს გურიიდან (ოზურგეთის მაზრა) დეპეშამ მოგვიტანა მეტად სამწუხარო ამბავი. იქ მენშევიკ-ბანდიტებმა მოჰკლეს ერთი თავდადებული, ძველი რევოლუციონერი, ძველი კომუნისტი—მუშა, ამხანაგი **საშა ობოლაძე.**

ამხანაგ საშა ობოლაძეს კარგათ იცნობს თბილისის მებრძოლი პროლეტარიატი.

1903 წლიდან, ჯერ კიდევ 17 წლის ნორჩი ახალგაზრდა საშა ერთხანს რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, უკანასკნელად კი სტამბაში, ბეჭვდითი საქმეებში ჩაბმული ეწევა დაუღალავ რევოლუციონურ პარტიულ მუშაობას თბილისის მოწინავე პროლეტარიატის რიგებში. 1904 წლიდან ამხ. საშას იცნობს ბაქოს მებრძოლი პროლეტარიატიც, სადაც მას, რევოლუციონური ორგანიზაციის მინდობილებით, უხდება ბაქოს ბოლშევიკურ კომიტეტისათვის მოაწყოს არალეგალური სტამბა. 1905 წელში ამხ. საშას საქართველოს აქა თუ იმ მაზრებშიც უხდება გამგზავრება ორგანიზაციის დავალებით ხალხში სააგიტაციო-საპროპაგანდოთ... ყოველივე ამის შემდეგ ამხანაგ საშას წილათ ხვდება, მრავალ ჩვენ მებრძოლ ამხანაგებთან ერთად, ციხეში გადასახლება, ცივ მხარეებში და სხვა.

დღეს, როცა საქართველოს პროლეტარიატი კლასობრივ მტრებისგან განთავისუფლებულია, როდესაც კაპიტალიზმის უღელ გადაძრობილი მშრომელი მასსები ახალი ქვეყნის სააღმშენებლო მუშაობაში არიან ჩაბმულნი, როდესაც კომუნისტური პარტია არის გაბატონებული პოლიტიკურად და თავის საუკეთესო ძალებს აქა თუ იქ გზავნის სხვადასხვა დავალებებით, მშრომელი ხალხის მტრები, მენშევიკები და მათი ამყოლი კონტრ-რევოლუციონერები, მოვლინებულნი ყაჩაღების სახით, სტაცებენ მშრომელ ხალხს იმის საუკეთესო შვილებს მებრძოლ წევრებს.

ამხანაგ საშა ობოლაძესთან ერთად დაიღუპენ თუმცა უპარტიო, მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკისთვის თავდადებული მებრძოლი ამხანაგები დათიკო **ჩუბინაშვილი და სანიკიძე,** რომლებიც ასევე მსხვერპლი გახდენ საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტრების.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება შეავსებს ამ რიგებს. ხოლო მტრებთან კი კიდევ უფრო გაძლიერებული იქნება განმანადგურებელი ბრძოლის ცეცხლი და ეს იქნება საუკეთესო თავდები დაღუპულ ამხანაგებისაგან დაწყებული ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებისა.

მშვიდობით უდროვოდ დაღუპულო ამხანაგო საშა!

მშვიდობით საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ სიცოცხლეს მოწყვეტილო ამხანაგებო. ჩუბინაშვილო და სანიკიძე!

ხევსური.

რურის ოკუპაციის კულისებში

„ეროვნულ გაერთიანებისაკენ" უამრავ მოწოდებათა, საფრანგეთის შემოსევის წინააღმდეგ პროტესტების და ყოველგვარ მართალი და შეთხზულ ცნობების შორის, რომლითაც აღვსილია გერმანიის ბურჟუაზიული პრესა, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა მსხვილი მრეწველობის ორგანოს, „რეინ-ვესტფალიის გაზეთის" ფრიად მნიშვნელოვანი და ფრიად დამახასიათებელი ცნობა.

ეს ორგანო სრულიად გულწრფელად აღნიშნავდა, რომ სტინესმა სახელმწიფოებრივ სამეურნეო საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ლუშერმა წინადადება მისცა მას სტინესს, მიიღოს მონაწილეობა 40 პროცენტით საფრანგეთ-გერმანიის ნახშირ-რკინის სინდიკატში. სტინესმა ეს წინადადება უარყო, რადგან მას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ლუშერის ხელში დარჩენილიყო ამ სინდიკატის აქციების 60 პროცენტი.

გაზეთი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როდის მისცა ლუშერმა ასეთი წინადადება სტინესს.—მაგრამ ცხადია, რომ ეს წინადადება მიცემული ქონდა მას რურის ოკუპაციამდე და პარიზის კონფერენციის მარცხით დასრულებამდე.

საქმეს კარგად გაცნობილ ორგანოს ამ ცნობაში არაფერი გასაკვირველი და ახალი არა არის-რა. დიდი ხანია ვიცით, და ეს ნათელია, რომ რურის ოკუპაცია არის მხოლოდ ცდა აიძულონ გერმანიის ნახშირის მაგნატები დასდონ საფრანგეთის კაპიტალისტებთან უკანასკნელთათვის ხელსაყრელი „კომპრომისი", მოაწყონ საფრანგეთ-გერმანიის ნახშირ-რკინის სინდიკატი, სადაც საფრანგეთის მრეწველნი მთავარ როლს ითამაშებდენ. „რეინ-ვესტფალიის გაზეთის" ცნობაში გასაკვირველი არის მხოლოდ უდიდესი გულწრფელობა, რომელიც არ შეფერის „ეროვნულ" და პატრიოტულ ლოზუნგებს, რომლითაც აღვსილი არიან ყველა ბურჟუაზიული გაზეთები რურის დაკავების გამო. რა თქმა უნდა ყველა ეს ლოზუნგები იმგვარად არის გამომუშავებული, რომ მასებს წინაშე დაფარონ საფრანგეთ-გერმანიის ნახშირის ომის ნამდვილი აზრი. არ შეიძლება მუშებს მოსთხოვონ მსხვერპლი, როგორც ამას გერმანიის ბურჟუაზია სჩადიოდა, როდესაც საქმე ეხება სტინესის გეშეფტებს,—ყველაფერი უნდა დაიფაროს ეროვნულ და პატრიოტულ ლოზუნგებით.

როგორ გვეჩვენება რურის ოლქის ოკუპაციის საკითხი წმინდა საქმიანი თვალსაზრისით, — იმ თვალსაზრით რომლითაც უდგებიან ამ საკითხს სტინესი და ლუშერი?

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ არა მარტო პუანკარე არის ლუშერის და საფრანგეთის კაპიტალისტების ნებისყოფის აღსრულებელი. კუნოს მთავრობაც აგრეთვე მოქმედებს გერმანიის ნახშირის მაგნატების და უპირველეს ყოვლისა თვით სტინესის ინტერესების მიხედვით. იგი აწარმოებს გაცხარებულ ბრძოლას ნახშირისათვის, ვინაიდან სტინესმა მშვენივრად იცის, რომ თუ გერმანია დამარცხდა იგი იძულებული იქნება მიიღოს ფრანგების „საქმიანი" წინადადებანი.

კუნოს მთავრობა ცხადია, მხარს უჭერს გერმანიის ნახშირის სინდიკატს „საფრანგეთის შემოსევის" წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მაგრამ ის არა მარტო აწყობს „ეროვნულ თავდაცვას" ის უშუალო დახმარებას უწევს ნახშირის სინდიკატს. ამას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მთავრობამ დღემდის არ გადაახდევინა ნახშირის სინდიკატს ნახშირის გადასახადი. როგორც ამ ჟამად გამოირკვა, ვირტის კაბინეტის სახალხო მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა სოც. დემ. შმიდტმა, ნახშირის სინდიკატს მისცა ვადა სახელმწიფო კასაში 40 მილიარდი მარკის ნახშირის გადასახადის შესატანად. ეს გადასახადი დღემდის არ არის შეტანილი და კუნოს მთავრობა ჯერაც არ ფიქრობს მის გადახდევინებას; ამავე დროს ქაღალდის ფულებს ფასი ეკარგება. და ნახშირის ბარონებს, ამგვარად, დიდი მოგება ეძლევათ.

რამდენადაც ბრძოლა რურის ნახშირის შესახებ სწარმოებს წმინდა საქმიანი თვალსაზრისით, სწორედ ასევე ამ ბრძოლის შედეგებიც საქმიანი ხასიათის იქნება. კუნოს მთავრობა არა ერთხელ აცხადებდა და აცხადებს, რომ ის პრინციპიალურად უარს არ ამბობს მოლაპარაკებაზე, მაგრამ ის უარყოფს ყოველგვარ მოლაპარაკებას მანამდე, სანამ რური საფრანგეთის ჯარებს უკავია. რასაკვირველია, ნახშირის მაგნატებს სურთ მოლაპარაკების დროს ხელში ჰქონდეთ რაიმე კოზირი. ეს კოზირი, —და კოზირი მეტად მნიშვნელოვანი,—იქნებოდა საფრანგეთის ნახშირის მრეწველების დამარცხება რურის ოლქში. ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ბრძოლა ასე მწვავედ სწარმოებს და საბუთად იხმარება ყოველგვარი არგუმენტები. არ არის საკვირველი, რომ მთელი გერმანიის ბურჟუაზიას, რომელიც ზედმიწევნით დაინტერესებულია ამ ბრძოლის შედეგებში, არ შურს საკმაოდ დიდი მატერიალური მსხვერპლი; როგორც მაგალითად: მაგდებურგში 28 მრეწველმა რურის მუშების სასარგებლოდ „შესწირა" 25 მილიონი მარკა, შუა-გერმანიის ნახშირის სინდიკატმა „შესწირა" ერთი მილიარდი მარკა, „ეროვნულმა კლუბმა" ბერლინში 4 მილიონი, სტინესის ორგანოს „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგის" გამომცემლობამაც კი—5 მილიონი და სხვ. და სხვ. მთელი ბურჟუაზია „სწირავს" მნიშვნელოვან თანხებს. ამავე დროს დამახასიათებელია, რომ ყველაზე გულკეთილნი გამოდგენ მრეწველები, რომელნიც უარს ამბობდენ სამუშაო ხელფასის გადიდებაზე. რასაკვირველია ისინი მუშებს „მხარს უჭერენ" ამ მომენტში, როდესაც ეს მუშები მათ ესაჭიროებათ, როგორც საფრანგეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი, ისინი უარს იტყვიან ამ „მხარის დაჭერაზე", როგორც კი დამთავრდება ასე თუ ისე ბრძოლა რურის ნახშირისათვის.

როგორ დამთავრდება ეს ბრძოლა? გაიმარჯვებს თუ არა პუანკარე ან მას მოუხდება უკან დახევა და თავის გეგმაზე უარის თქმა დროებით? ან რურის ნახშირისთვის ბრძოლა დამთავრდება კომპრომისით საფრანგეთის და გერმანიის მრეწველებს შორის?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ჯერ რასაკვირველია შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ერთი კი აშკარაა: თუ საფრანგეთის და გერმანიის ნახშირის და რკინის მეფეები შეთანხმდებიან,—და შეთანხმება მათ შეუძლიათ მხოლოთ რურის მუშების ხარჯზე,—მაშინ მთელი ნაციონალისტური კამპანია, თავისთავად ცხადია, დამთავრებული იქნება. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა თავს დაანებებს პატრიოტულ განგაშს, საფრანგეთის შემოსევაზე ყვირილს, მუშების გაფიცვისაკენ მოწოდებას და სხვა თუ კაპიტალისტები შეთანხმდენ მთელი „პოლიტიკური" კონფლიქტი ამოწურული იქნება. ბრძოლა დაუყოვნებლივ დამთავრდება თუ ორივე მხარის წარმომადგენელნი ლუშერი და სტინესი მოითხოვენ მის დამთავრებას.

„იზვესტია".

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ჩვ ევა გრძელდება.

ჰანოვერი. 12 თებერვ. საფრანგეთის ჯარების წინსვლა გრძელდება. არის ცნობები განზრახულ ახალ წინსვლის შესახებ ბაუენში.

ძალადობა.

ჰანოვერი. 12 თებერვ. ყველგან, სადაც საფრანგეთის საოკუპაციო არმია შედის, ძალადობას აქვს ადგილი.

საარის ოლქში ფრანგ სალდათებს ხიშტებით გაჰყავთ ამთამადნო მრეწველობის მუშები სამუშაოთ.

ფრანგების მიერ უარის თქმა ოფიციალურ განმარტებაზე.

ჰანოვერი. 12 თებერვ. გერმანიის მთავრობა საფრანგეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში უარყოფს ყველა განცხადებებს, რომელიც ამართლებს ძალდატანებით ღონისძიებებს საფრანგეთის მთავრობა გააჩუმებდა გერმანიას, თუ გერმანია უფრო სუსტი აღმოჩნდებოდა. საფრანგეთის გადახვევა თავის პოზიციის ოფიციალურ განმარტებებისაგან მოასწავებს ძირათად დებულებების სისუსტის აღიარებას.

მცხოვრებთა ინტერესები მათ არ ეხებათ.

ჰანოვერი. 12 თებერვ. ლიუნენსა და მედგედში ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს საზოგადოებრივ სასადილოს, რის გამოც მცხოვრებთა კვება უნდა შესწყდეს.

პოლიციელების დაპატიმრება

ჰანოვერი. 12 თებერვ. აპატიმრებენ პოლიციელებს, რომელნიც უარს ამბობენ ფრანგ-აფიცრებისათვის სამხედრო სალამის მიცემაზე.

ფრანგების პროკლამაციები.

ჰანოვერი. 12 თებერვ. უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის დიდძალი ჰაეროპლანები დაფრინავენ რურის ოლქზე. ჰაეროპლანები იღებენ ფოტოგრაფიულ სურათებს იმ მაღაროებისა და ქარხნებისას, სადაც აკრძალული იყო საინჟინერო კომისიის წევრთა შესვლა. ჰაეროპლანები ჰყრიან აგრეთვე პროკლამაციებს.

ჭეშმარიტებას მალავენ.

ჰანოვერი. 12 თებერვ. გერმანიის [illegible] აღნიშნავს, რომ არც ერთმა გერმანიის გაზეთმა არ გამოაქვეყნა ჰავასის სააგენტოს დეპეშა იმის შესახებ, რომ გერმანიას დეკემბერში არ გადუხდია მხოლოდ 84677 ტონა ნახშირი.

შეთანხმდენ.

ჰანოვერი. 12 თებერვ. ბრიუსელში გამართულ თათბირზე ტროკეს და ჟასპარს შორის მიღწეულია სრული შეთანხმება, რურის ოლქში მომავალ საერთო ღონისძიებათა შესახებ.

გაფიცვები რკინის გზებზე.

მოსკოვი. 12 თებ. რურის რკინის გზებზე გაფიცვა ფართოვდება. ბელგიელების მიერ დაკავებულ ზონაში რკინის გზის ყველა სადგურები დახურულია. საფრანგეთის ზონაში გაფიცვა გავრცელდა კობლენცსა და ლიუდვიგსჰაფენამდე. ტრირის, ბონის და მაინცის რაიონებში გაფიცვა სავსებით ტარდება.

ჩრდილოეთ საფრანგეთის რკინის გზის უფროსმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა რურში რკინის გზებზე მოძრაობის მოწყობა, უარი განაცხადა დავალებების შესრულებაზე, ვინაიდან მას ეს შეუძლებლად მიაჩნია მუშების თანამშრომლობის გარეშე. გენერალი დეგუტი რკინის გზელებს ემუქრება სახედრო სასამართლოთი.

ინჟენერების კონტროლი.

მოსკოვი, 12 თებერვ. „მანჩესტერ გარდიენ"-ის ცნობებით, საფრანგეთის სარდლობის და ინჟენრებს შორის ადგილი აქვს შეხლა-შემოხლას, ნახშირის მაღაროებზე და ქარხნებზე დღემდე ინჟენერების კონტროლის შემოუღებლობის ნიადაგზე.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი, 12 თებ. როკლინგაუზენში ფრანგებმა გაფანტეს ხალხი ჯავშნიანი მატარებლებით. ფრანგი აფიცრები შეიჭრენ თეატრში, გარეკეს მაყურებელნი და დააპატიმრეს პოლიციელები, რომელთაც უარი სთქვეს მიეცათ მათთვის სამხედრო სალამი. ქალაქში გამოცხადდა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა.

საფრანგეთის ესკადრონები არ ემორჩილებიან.

მოსკოვი, 12 თებ. გერმანიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ერთმა ესკადრონმა უარი განაცხადა იმ მუშების, მოხელეების და ვაჭრების წინააღმდეგ გამოსვლაზე, რომელთაც მეზობელ ქალაქში გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია.

ფრანგმა სალდათებმა განაცხადეს, რომ არა სურთ გამოვიდენ მოქალაქეთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის სარდლობა იძულებული იყო ბრძანება გაეუქმებია.

ფრანგების წინადადება.

მოსკოვი, 12 თებ. 9 თებერვალს ფრანგებმა კიდევ დაიკავეს რამდენიმე ქალაქი. საღამოზე განზრახული ჰქონდათ ელხერფელდში შესვლა.

ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობის ცენტრი ზოლინგენი, რომელიც მდებარეობს ბრიტანეთის ოკუპაციის ზონაში, შემორტყმულია საფრანგეთის ჯარებით და ამ დღეებში ალბად მას დაიკავებენ ფრანგები, ბარმენის, ელაერფელდის და საფეიქრო მრეწველობის ყველა მნიშვნელოვან პუნქტების დაკავების შემდეგ. მაშინ რურის მთელი მრეწველობა ფრანგების ხელში იქნება.

რურის რკინის გზებზე.

მოსკოვი, 12 თებ. რურის ოლქის მთელი რიგი რკინის გზებისა დაკავებულია ფრანგების ჯარების მიერ. გერმანიის რკინის გზელები შეცვლილი არიან ფრანგებით.

საფრანგეთის რეჟიმი.

მოსკოვი, 12 თებ. ოკუპაციებ დაკავებულ ოლქებში საფრანგეთის რეჟიმი დღითი-დღე აუტანელი ხდება. გერმანიის მცხოვრებნი განაგრძობენ ფრანგებისათვის პასიურ წინააღმდეგობის გაწევას.

რურის ოკუპაცია

მუშები ქედს არ მოიხრიან საფრანგეთის ხიშტების წინაშე.

ჰანოვერი. 12 თებერვალი. ბოხუმის მუშური გაზეთი სწერს: რურის მუშებმა გამოიჩინეს მტკიცე ნებისყოფა—ქედი არ მოიხარონ საფრანგეთის ხიშტების წინაშე.

კვლავ თათბირობენ.

ჰანოვერი. 12 თებერვალი. საფრანგეთის გზათა მინისტრი ტროკე ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრთან ჟასპართან ერთად 10 თებერვალს ჩავიდა პარიზში პუანკარესთან სათათბიროდ.

აღიარებენ თავიანთ სიკოტრეს.

ჰანოვერი. 12 თებერვალი. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობებით, ჟასპარის და ტროკეს პუანკარესთან მოლაპარაკების შემდეგ, საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებს განზრახული აქვთ განაახლონ მოძრაობა მხოლოდ უმთავრეს რკინის გზის ხაზებზე. ამ დადგენილებას გერმანიის მთავროაა იხილავს როგორც თავიანთ სიკოტრის აღიარებას.

მდგომარეობა უარესია, ვინემ ეს წარმოდგენილი ჰქონდათ.

ჰანოვერი. 12 თებერვალი. ბერლინის გაზეთების ცნობით, რიუკლინსგაუზენი ახდენს სამხედრო ბანაკის შთაბეჭდილებას. ქალაქი სავსეა თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ პატრულებით.

„ფორვერტსის" რედაქტორი, რომელიც გაემგზავრა რურის ოლქში ფაქტების აღსადგენად, აცხადებს, რომ ის, რაც იწერებოდა დღემდე რიუკლინსგაუზენზე დაშორებულია ნამდვილ ამბებისაგან.

მაღაზიების პატრონებმა გერმანელ მყიდველებისათვის საქონლის შენახვის მიზნით შესწყვიტეს ფრანგებისათვის საქონლის მიცემა. საფრანგეთის ოფიცრები იჭრებიან მაღაზიებში, სცემენ ვაჭრებს და გზავნიან ციხეებში.

ყველა კრებებს სასტიკად ჰფანტავენ. ყველა პოლიციელები დაპატიმრებული არიან.

ოფიცრებმა კეტების ცემით გამორეკეს გერმანელები თეატრებიდან.

საწოლების გადაცემაზე უარის თქმა.

ჰანოვერი, 12 თებ. ესსენში წარადგინეს მოთხოვნილება ყველა საავადმყოფოების საწოლების გადაცემაზე, რაზედაც უარი მიიღეს.

არ შეიბრალეს ავადმყოფი.

ჰანოვერი, 12 თებ. სატყეო სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორი, პფალცის მცხოვრები, რომელიც მიუხედავად ავადმყოფობისა იქნა გადასახლებული ოჯახობით, სულიერი მღელვარების გამო გზაში გარდაიცვალა.

გერმანელ მინისტრების შესვლის აკრძალვა, თვით მცხოვრებთა „ინტერესების დაცვის მიზნით".

ბორდო, 12 თებ. პუანკარეს, ჟასპარსა და საფრანგეთის რამოდენიმე მინისტრებს შორის თათბირის შემდეგ, ეცნობა გერმანიის საელჩოს პარიზში, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა შენიშნეს რურის მრეწველების და მოხელეების მღელვარება კანცლერ კუნოს რაიონში მოგზაურობის შემდეგ. „თვით მცხოვრებთა ინტერესების დაცვის მიზნით" აკრძალულია რურის ოლქში ყველა გერმანელ მინისტრების შესვლა,

რურის გარშემო

დემონსტრაცია პარიზში:

მოსკოვი. 12 თებ. საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო პარიზში დემონსტრაცია ზავის სასარგებლოდ და გამოაქვეყნა პროტესტი რურის ოლქის დაკავების წინააღმდეგ.

სურსათის საკითხი.

მოსკოვი. 12 თებ. „მატენ"-ის ცნობით ფრანგები ცდილობენ უზრუნველყონ სურსათით რურის მცხოვრებთა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დათანხმდება მოკავშირეებთან „თანამშრომლობაზე".

გერმანიის მთავრობის ნოტა.

მოსკოვი. 12 თებ. გერმანიის მთავრობა ნოტაში, რომელიც მან საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნა, აცხადებს, რომ ფრანგების უკანასკნელი ზომები რურში არის საერთაშორისო უფლების დარღვევა.

შვეიცარიის პროტესტი.

მოსკოვი. 12 თებერ. შვეიცარიამ პროტესტი განაცხადა ფრანგების მიერ რურის ნახშირით დატვირთულ მატარებლის შეჩერების გამო. ნახშირი იგზავნებოდა შვეიცარიაში.

ინგლისელების მოქმედება.

მოსკოვი. 12 თებერ. ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა ყოფა-ქცევა რურის ოლქში დიდ სასო წარკვეთილებას იწვევს გერმანელ წრეებში. ფრანგებმა მოაწყვეს საკონტროლო სადგურები ინგლისელების მიერ დაკავებულ ზონაში, რის წინააღმდეგ ინგლისელებს პროტესტი არ განუცხადებიათ.

ინგლისის ჯარების სარდალმა კელნში რკინის გზელთა პროფკავშირის თავმჯდომარეს განუცხადა, რომ ინგლისის ხელისუფლება სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს გაფიცვის გამოცხადებას ინგლისის ზონაში.

რურის მუშათა სასარგებლოთ.

იოსკოვი. 12 თებ. გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირთა პრეზიდიუმმა მიმართა პროფკავშირთა წევრებს და მოუწოდა შესწირონ ერთი საათის მუშაობის ხელფასი რურის მუშათა სასარგებლოთ.

პროფკავშირთა გაერთიანების ყვითელი წინამძღოლები დასთანხმდენ შექმნან დახმარების საერთო ფონდი მწარმოებლებთან ერთად. რომელთაც აღუთქვეს შეიტანონ 4-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე მუშებმა.

გაფიცვა გრძელდება.

ბორდო. 12 თებ. ფრანგულ ზონაში რკინის გზელთა გაფიცვა გრძელდება. საერთაშორისო მატარებელთა მიმოსვლა სწარმოებს დიდი დაგვიანებით.

გატანის სრული აკრძალვა.

ბორრდო. 12 თებ. პუანკარემ და ჟასპარმა გაგზავნეს გერმანიაში ნოტა, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ ოკუპაცია ქმნილ ოლქის მოხელეები სჩადიან ყოველგვარ უწესობას და ქმნიან დაბრკოლებებს, რის გამო მოკავშირე სახელმწიფონი 12 თებერვლის შემდეგ აკრძალავენ ოკუპაცია ქმნილ ტერიტორიაზედ მომზადებულ მეტალურგიულ ფაბრიკატების გატანას დანარჩენ გერმანიაში.

გერმანიის ამბები

გერმანიის ნაციონალ-დემოკრატების პოზიცია.

მოსკოვი. 12 თებერვალი. გერმანიის ნაციონალ-დემოკრატების ყრილობაზე გილფერდინგმა განაცხადა, რომ ნაციონალ-დემოკრატები არ აცხადებენ პროტესტს რეპარაციების წინააღმდეგ, მაგრამ, თუ პუანკარე შეეცდება რურის გამოყოფას, მაშინ ისინი სათანადო წინააღმდეგობას გაუწევენ.

კომუნისტური გაზეთი გერმანიაში

მოსკოვი. 12 თებერვალი. ბერლინში გამოვიდა არალეგალური კომუნისტური გაზეთი სახელწოდებით „მიუხედავად ყველაფრისა".

ლოზანის კონფერენცია

ლორდ კერზონი ემზადება მნიშვნელოვანი სიტყვისათვის.

ჰანოვერი. 12 თებ. „დეილ მეილი" იტყობინება, რომ ახლო მომავალში ლორდ კერზონი თემთა პალატაში წარმოსთქვამს დიდათ მნიშვნელოვან სიტყვას ლოზანას კონფერენციის შესახებ.

„თავისი თავი მსხვერპლად მიიტანეს".

ბორდო. 12 თებ. „პტი პარიზიენი" ათავსებს გენ. პელლეს დეკლარაციას, რომელშიაც ის ხაზგასმით აღნიშნავს საფრანგეთის რაინდულ მოქმედებას ლოზანას კონფერენციაზე, მიიღო რა ოსმალების მიერ წარმოდგენილი, მისთვის არა სასარგებლო ეკონომიური და ფინანსიური პირობები.

ახლო აღმოსავლეთში

ქემალ ფაშას განცხადება.

მოსკოვი. 12 თებერვალი. ალაჩექირში გამართულ მიტინგზე ქემალ ფაშამ განაცხადა: „მთელმა ქვეყანამ იცის, თუ როგორ შეუძლია ჩვენ ერს თავისი დამოუკიდებლობის დაცვა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დაამსხვრევთ ყველას, ვინც შეეცდება ხალხის ძალაუფლების შელახვას. დღემდის ჩვენი გამარჯვება იყო ხიშტის გამარჯვება, ეხლა ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ეკონომიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტზე".

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი.

მოსკოვი. 12 თებერვალი. სტამბოლში გაემგზავრა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ზალკინდი.

რუსეთის მემორანდუმი.

მოსკოვი. 12 თებერვალი. საბჭოთა დელეგაციის მემორანდუმმა აღმოსავლეთის საკითხის გამო მიიპყრო ანატოლიის ყურადღება. ოსმალურ ენაზე ნათარგმნი მემორანდუმი ვრცელდება პროვინციებში.

სამხედრო მზადება საბერძნეთში.

მოსკოვი. 12 თებერვალი. მიუხედავათ იმისა რომ საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ აქვს სამხედრო ზრახვები, ბერძნები განაგრძობენ სამხედრო მომზადებას მარიცის მარჯვენა ნაპირებზე.

ჩიჩერინის განცხადება.

მოსკოვი. 12 თებერვალი. ამხ. ჩიჩერინმა ბერლინის ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია სეპარატიული ხელშეკრულების დადება ინგლისსა და ოსმალეთს შორის, ამხ. ჩიჩერინმა შემდეგ განაცხადა: „ოსმალეთის დიპლომატიური მდგომარეობა ამ ჟამად საუკეთესოა სამი მიზეზის გამო: არ არის ომის საფრთხე, ოსმალეთის მოწინააღმდეგეთა შორის არსებობს განხეთქილება, ოსმალეთი საბჭოთა რუსეთთან მეგობრულ განწყობილებაშია. ლოზანას კონფერენცია არ ჩაშლილა, არამედ გადავიდა სხვა და სხვა მთავრობების ურთიერთ შორის დიპლომატიურ მოლაპარაკების ახალ პერიოდში. რუსეთის დელეგაციის დეკლარაცია უშედეგოდ არ დარჩენილა. სრუტეების სამხედრო გემებისათვის გახსნის საფრთხეს გრძნობენ არა მარტო იტალია და საფრანგეთი, არამედ აგრეთვე ინგლისის ლიბერალები და მუშებიც მიხვდენ, რომ კერზონის წინადადება გამოიწვევს ახალ შეიარაღებას, ახალ გადასახადებს და ახალი ომის საფრთხეს".

ჩიჩერინის აზრით რურის საკითხი არ გამოიწვევს კატასტროფას, არამედ ის გადაწყდება საფრანგეთის და გერმანიის უშუალო შეთანხმებით.

სმირნა.

მოსკოვი. 12 თებერვალი. ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალმა სმირნაში განუმეორა მოკავშირეთა გემებს ბრძანება ნავთსადგურის დატოვების შესახებ.

მოკავშირეებმა მიიღეს ინსტრუქცია—ოსმალების მხრივ თავდასხმის შემთხვევაში მიმართონ იარაღს. ოსმალების გადაწყვეტილება გამოურკვეველია. რეიტერის სააგენტოს სიტყვით სმირნის ნავთსადგურში მოწყობილია ნაღმები, ნაპირზე კი დადგმულია ბატარეები,

— მდგომარეობა სმირნაში ისევ კრიტიკულია,

— ამერიკა თავის თავს ნეიტრალურად სთვლის და არ უერთდება მოკავშირეთა პროტესტს ოსმალების მოთხოვნილების წინააღმდეგ სმირნის ნავთსადგურიდან მუშების გაყვანის შესახებ.

— ოსმალეთის და მოკავშირეთა სამხედრო სარდლობის შორის მიხწეულია შეთანხმება არსებულ მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ, სანამ საკითხი სამხედრო გემების შესახებ დიპლომატიურის გზით იქნება გადაწყვეტილი.

ანგორიდან გადასახლება.

მოსკოვი. 12 თებერვალი. ანგორიდან გადაასახლეს ყოფილ სტამბოლის მთავრობის რამოდენიმე მოღვაწეები, მათ შორის ფერიდ-ფაშა, სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე შაკი-ფაშა და სხვები. დაპატიმრებული არიან ანგორის ციხეში: ტაირ-ფაშა, სუბი-ფაშა და სხვა მრავალი სულთანის მოღვაწეები.

განწყობილება ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში.

მოსკოვი. 12 თებერვალი. „მორნინგ პოსტი"-ს სტამბოლის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ოსმალეთის დიპლომატიური წრეები წინააღმდეგი არიან მოკავშირეებთან მოლაპარაკების განახლების. ისმეტ-ფაშას მიერ წაარდგენილი დათმობანი, საეჭვოა, რომ მოიწონოს ეროვნულმა კრებამ.

ოსმალური გაზეთი „ენი მიუნ"-ი ხაზგანმით აღნიშნავს, რომ ისმეტ-ფაშას დათმობანი ამ ჟამად გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

ოსმალო ქალი

მოსკოვი. 12 თებერვალი. მუსტაფა-ქემალი აწარმოებს ენერგიულ კამპანიას, რათა ოსმალო ქალს მიეცეს განათლების და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ამ მიზნით ქემალი მართავს მრავალ მიტინგებს, რომლებზედაც მონაწილეობას ღებულობენ ქალები. სასულიერო წოდება ეწევა კონტრ-აგიტაციას.

ახალი ომის საფრთხე.

მოსკოვი. 12 თებერვალი. რუმინიის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ხმებს ახლო აღმოსავლეთში ახალი ომისათვის მზადების შესახებ.

ბოლგარეთ-ოსმალეთის შეთანხმება.

მოსკოვი. 12 თებერვალი. ლოზანადან დაბრუნებულმა სოფიის ეპისკოპოსმა სტეფანმა განაცხადა, რომ ლონდონში არ ეწინააღმდეგებიან ბოლგარეთ-ოსმალეთის შეთანხმების დადებას.

მდგომარეობა იტალიაში

ოსმალეთის წარმომადგენლობა.

ბორდო. 10 თებერვ. ოსმალეთის წარმომადგენლობა იტალიაში ორი დღეა არ ღებულობს სმირნაში მიმავალ მოწმობების შემოწმებას.

სავაჭრო ხელშეკრულებანი.

რომი. 10 თებერვ. პარლამენტმა ხმის უმრავლესობით რატიფიკაცია უყო სავაჭრო ხელშეკრულებებს ჩეხო-სლავიასთან, საბერძნეთთან და რაპალოს ხელშეკრულებას.

ანტიფაშისტურ შეთქმულების გამო.

რომი. 10 თებ. ფლორენციაში შეთქმულების გამოაშკარავების გამო, ფაშისტების მილიციამ შეიპყრო შვეიცარიელები, რომლებსაც უნახეს საბუთები შეთქმულების შესახებ. კომუნისტების დატუსაღება ყველგან გრძელდება.

სრული შეთანხმება ოსმალეთის საკითხის შესახებ.

რომი. 10 თებერვ. თანახმათ გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენებისა ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, იტალია სავსებით ემხრობა ინგლისის და საფრანგების პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ ისინი ოსმალეთის მიმართ.

იტალიის პარლამენტში.

მოსკოვი. 12 თებერვალი. გაიხსნა იტალიის პარლამენტი, რომელსაც იცავენ ფაშისტები.

კომუნისტების დაპატიმრება იტალიაში.

მოსკოვი. 12 თებერვალი. მთელს იტალიაში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება. მხოლოდ ერთ ასკორის რაიონში დაპატიმრებულია 300 კომუნისტი.

ერთა ლიგა

შეიარაღების შემცირება.

ბორდო, 12 თებერვალი. შეიარაღების შეერთებულმა კომისიამ, რომელიც შეიკრიბა შაბათს ჟენევაში ვივიანის თავმჯდომარეობით, გადასცა დელეგატებს ორივე მხარეებს შორის საურთიერთო გარანტიებით უზრუნველყოფილი ხელშეკრულების პროექტი. პროექტი შემუშავებულია რობერტ სესილის მიერ. მოხსენებები პროექტის შესახებ უნდა წარედგინოს ყველა მთავრობებს არა უგვიანეს 1 მაისისა.

ამერიკაში.

ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი.

მოსკოვი. 12 თებერვალი. ამერიკის სენატმა მიიღო კანონი, რომლის ძალით ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი უდრის 340 მილ. დოლარს და ამერიკის ჯარების რიცხვი 125.000 ჯარისკაცს და 12.000 ოფიცერს.

ამერიკა და ფილიპინის კუნძულები,

მოსკოვი. 12 თებერვალი. ამერიკის სენატმა უარყო წინადადება, ფილიპინის კუნძულისთვის დამოუკიდებლობის მიცემის შესახებ.

გაფიცვები ჩინეთში.

მოსკოვი. 12 თებერვალი. ხანკოუნის რკინის გზაზე დაიწყო გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 10.000 მუშა. გაფიცულები მოითხოვენ კრებების თავისუფლებას, რვა საათის სამუშაო დღის და სამუშაო ხელფასის გადიდებას. მოძრაობა ედება სხვა რკინის გზებსაც. პეკინის სტუდენტები გაფიცულებს დახმარებას აწვდიან.

პოლონეთში

მიტროპოლიტის მოკვლა.

ჰანოვერი. 12. თებერვ. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ 8 თებერვალს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური პოლონეთში, მიტროპოლიტი გიორგი მოკლულ იქნა ხოლმის არქიმანდრიტის ლატიშენკოს მიერ რევოლვერიდან სამჯერ გასროლით.

მცირე ანტანტა.

ბუქარესტის კონფერენცია

მოსკოვი. 12 თებერვალი. მტკიცდება ცნობა მცირე ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენციის შესახებ ბუქარესტში, სადაც განხილულ იქნება მოთხოვნილება ჰუნგრეთის და ბოლგარეთის განიარაღების კომისიაში მცირე ანტანტის მონაწილეობის შესახებ.

მემელის საკითხი

ახალი მინისტრები.

ბორდო. 12 თებ, დროებითმა მთავრობამ, მოკავშირეების მთავრობებთან შეთანხმებით, დანიშნა ადგილობრივ მცხოვრებლებიდან 5 მინისტრი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ უკანასკნელ აჯანყებაში. სისრულეში მოდის სამხედრო შეთანხმება მემელის მოსრულ ელემენტების ევაკუაციის შესახებ.

სხვადასხვა ამბები

სახალინი და იაპონია.

მოსკოვი. 12 თებერვალი. „ჯალანტაიმს"-ის ცნობით იაპონიამ შეატყობინა თავის ელჩს ვაშინგტონში, რომ დაიკავა რა სახალინი, როგორც გარანტია, ის არ სცნობს დაკავებულ ტერიტორიის სახელმწიფოების უფლებას და ინტერესებს.

იაპონელებმა სახალინს კარტალუცი დაარქვეს. ისინი აპირებენ სახალინის თევზის მრეწველობის იჯარით გაცემას. სწარმოებს სახალინის ქვანახშირის დამუშავება, მოეწყო კომიტეტი სახალინის გეოლოგიურ გამოკვლევისათვის.

საფრანგეთის მემაღაროების შორის.

მოსკოვი. 12 თებერვ. საფრანგეთის მემაღაროების ფედერაციის ეროვნულმა საბჭომ პრინციპიალურად ერთხმად მიიღო რეზოლიუცია 15 თებერვლისათვის საფრანგეთის ყველა ნახშირის მაღაროებში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. დელეგატებმა, რომელნიც წარმოდგენილი იყვნენ 158.000 მემაღაროებისაგან, რეზოლიუცია უკამათოდ მიიღეს. 52.000 მემაღაროების დელეგატებმა ხმა მისცეს ზოგიერთი შესწორებების შეტანით.

სამთომადნო ქარხნების მეპატრონეთა კომიტეტისადმი წერილში ეროვნული საბჭო აყენებს მოთხოვნილებას დღიური მუშებისათვის სამუშაო ხელფასის გადიდების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დაარსების შესახებ.

იტალია და სამხრეთ სლავია.

მოსკოვი. 12 თებერვ. სამხრეთ სლავიის მთავრობა შეშინებულია იტალიის სამხედრო ტრანსპორტის ჰუნგრეთში გაგზავნით, და აგრეთვე ახალი სამხედრო სესხით, რომელსაც მუსოლინი მოითხოვს.

ლიტვა და პოლონეთი.

მოსკოვი. 12 თებერვ. ერთა ლიგის საბჭო ემუქრება ლიტვას ლიგიდან გამორიცხვით, თუ ის არ მოაწესრიგებს კონფლიქტს პოლონეთთან.

ერთიანი ფრონტი.

მოსკოვი. 12 თებერვ. სოციალისტური პარტიის კონგრესმა ლილში, მოისმინა რა კომპარტიის წინადადება ერთიანი ფრონტის დაარსების შესახებ, გადასცა ეს საკითხი განსახილველად კომისიას.

ჰუნგრეთი.

ნაუენი. 12 თებერვ. ჰუნგრეთის მთავრობამ ერთა ლიგას გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც მოითხოვს მეზობელ სახელმწიფოების განიარაღებას.

მთავრობის გადადგომა.

ჰანოვერი. 12 თებერვ. სოფიიდან იტყობინებიან ბოლგარეთის მთავრობის გადადგომის შესახებ.

ირლანდიის აჯანყებულნი.

ჰანოვერი. 12 თებერვ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ირლანდიის აჯანყებულებმა უარყვეს დუბლინის მთავრობის უკანასკნელი საზავო წინადადებები.

ეგვიპტის მთავრობის გადადგომა.

ჰანოვერი. 12 თებერვ. კონსტანტინეპოლიდან მიღებული ცნობების თანახმად ეგვიპტის მეფემ ფუადმა მიიღო ეგვიპტის მთავრობის გადადგომა.

ბულგარეთი.

ბორდო. 10 თებერვ. სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის მთავრობა გადადგა. მდგომარეობა კრიტიკულია.

ლიუდენდორფს ყველგან სდევნიან.

ლონდონი. 10 თებერვ. „დეილი მეილი"-ს ცნობით, პანგერმანული მოგზაურობა ლიუდენდორფის ავსტრიაში სრულიათ უშედეგოა. ლიუდენდორფს ულტიმატიურათ მისცეს წინადადება გავიდეს ავსტრიიდან.

ლატვია.

მოსკოვი. 12 თებერვ. ლიტვის სახელმწიფო ბანკმა საზღვარ გარეთ გადაგზავნა 15 მილ. მან. ოქროთი. ოფიციალურად ამას ასაბუთებენ აღმოსავლეთ ევროპიდან მოსალოდნელ საშიშროებით.

ჩეხო-სლოვაკია.

კალლაროვის გაძევება.

მოსკოვი. 12 თებერვალი. კომინტერნის მდივანი კოლლაროვი სამუდამოდ გაძევებულ იქნა ჩეხო-სლოვაკიის ფარგლებიდან იმ სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოსთქვა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობაზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დახმარება ტრანსპორტისათვის.

მოსკოვი. 10 თებერვ. შრომისა და დაცვის საბჭომ 1923 წლის იანვრისა და თებერვლისათვის სატრანსპორტო სამკურნალო დაწესებულებების შესანახათ 10.500 პაიოკი გასცა.

დახმარება მუშებისათვის.

მოსკოვი. 10 თებერვ. „საბჭოთა რუსეთის მეგობართა" ნიუ-იორკის კომიტეტი რუსეთში ამანათების გაგზავნის ორგანიზაციას შეუდგა. კომიტეტი რუსეთის პროფ-კავშირებს სთხოვს უშუალოთ მას შეუთვალონ თხოვნები მუშებისათვის დახმარების შესახებ.

დახმარება უმუშევართათვის.

მოსკოვი. 10 თებერვ. სრ. რუს. პროფკავშირთა ცენტრალ. საბჭომ შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტმა პროფკავშირების საშუალებით ნებაყოფლობითი შემოწირულება—550.000 მან. შეჰკრიბა. ამ თანხის 50 პროც. დახარჯულია პროფკავშირების უმუშევარ წევრთა დასახმარებლათ.

ნანსენის კომისია.

მოსკოვი. 10 თებერვ. ნანსენის კომისიამ გამოსცა 5.000 სასურსათო ამანათი რკინის გზელთა და მეზღვაურთა სასარგებლოთ.

იჯარა.

ტაშკენტი. 9 თებერვალი. ტაშკენტის კომუნალურმა განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო რკინის გზის სამმართველოს რწმუნებულთან ყოფილი პერვუშინის მიწების იჯარით გაცემის შესახებ.

სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი. 10 თებერვალი. 8 თებერვალს, სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყრილობის დილის სხდომაზე ვარდინმა „ბეჭდვითი საქმის ამოცანების და მდგომარეობის" მოხსენებაზე, აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში გამოდის 493 გაზეთი; ამათ შორის 28 გუბერნიებში და 213 კი მაზრებში; მათი საერთო ტირაჟი უდრის მილიონ ნახევარ ცალს. საოლქო და საგუბერნიო გაზეთების უმრავლესობა კარგათ მოწყობილია; ისინი პოლიტიკურად მომწიფებულია და მასებთან საკმაოდ დაახლოვებულნი. ბეჭდვითი საქმის მთავარი ამოცანა, ვარდინის შეხედულებით, არის გაზეთების სპეციალისტების შექმნა, კორესპონდენტთა ქსელის გაფართოვება, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაფერი კანონებით ყოველგვარ შევიწროვებისაგან; ტირაჟის აყვანა 10 მილიონ ეკზემპლიარამდე და ქაღალდის ტრესტების და პოლიტგრაფტრესტების გარდაქმნა ბეჭდვითი საქმის მზგავს წარმოებათ. საღამოს სხდომაზე მოხსენების შესახებ მოხდა კამათი ადგილებიდან წარმომადგენლების მონაწილეობით. რეზოლიუციის გამოსატანათ არჩეულია კომისია.

მოსკოვი, 12 თებ. დილის სხდომაზე, 9 თებერვალს რუსეთის, დეპეშათა სააგენტოს მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი დოლეცკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ჟამად დეპეშათა სააგენტოს ყავს კორესპონდენტები და ჟურნალისტები—მარქსისტები ევროპის, ამერიკის და აღმოსავლეთის 19 სხვადა სხვა პუნქტებში, რაც იძლევა საშუალებას გვქონდეს საკუთარი საზღვარ-გარეთის ინფორმაცია, რომელიც გვაძლევს მსოფლიოს მოვლენათა სრულ სურათს. შინაურ ინფორმაციას გვაწვდიან 150 კორესპონდენტები, რომელთა შორის 80 პროცენტი კომუნისტია. რუსეთის დეპეშათა სააგენტომ შექმნა კომერციული ინფორმაცია, რომელიც ემსახურებ ექვსსამდე რესპუბლიკის ეკონომიურ დაწესებულებებს. დოლეცკი აუცილებელ საჭიროებად სთვლის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაციის პროვინციის გაზეთების მიერ გამოწერას, რუსეთის დეპ. სააგენტოს და მისი კორესპონდენტების უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას გაზეთებთან და ფოსტა-ტელ. სახალხო კომისარიატის ტარიფის შემცირებას რუსეთის დეპეშათა სააგენტოსათვის.

— საღამოს საბოლოო სხდომაზედ 9 თებერვალს მოსმენილ იქმნა კომისიის მოხსენებანი და მიიღეს რეზოლიუციები,

ყრილობამ სწორად იცნო ცენტრალურ ბიუროს პოლიტიკური ხაზი, ხოლო პარტიულ-საბჭოთა ბეჭდვითი საქმის განსამტკიცებლად წარმოებული მუშაობა და [illegible] მოგვარება—სრულიად დამაკმაყოფილებლად.

საორგანიზმციო საკითხის შესახე ყრილობამ უარყო დამოუკიდებე კავშირის შექმნა და საჭიროდ სცნ განათლების მუშაკთა კავშირში ს ციათა ფართო თვით-მოქმედებ განვითარება. სექციაში უნდა იყვნ ლიტერატურული და ტექნიკური მ შაკები და აგრეთვე მხატვრული ს ტყვის წარმომადგენელნი.

აღნიშნა რა რუსეთის დეპეშათ სააგენტოს მოღვაწეობის გაუმჯობ სება, ყრილობამ სასურველად სცნ რუსეთის დეპ. სააგენტოს ცენტრალურ, ადგილობრივ აპარატის გა ლიერება გამოცდილ ჟურნალისტებ მოწვევით.

ყრილობამ საჭიროდ სცნო მსხვ მწარმოებელ გაერთიანებათა შექმ რომელიც შეიცავს გაზეთებს, სტ ბებს, ქაღალდის ფაბრიკებს და გ ზეთისთვის სარკინიგზო და სატელ გრაფო ტარიფის შემცირებას.

მუშათა მასების ბეჭდვითი საქმე თან უშუალო კავშირის დამყარებ საქმეში, ყრილობის აზრით გად წყვეტ როლს უნდა კისრულობდ მუშა კორესპოდენტები.

ყრილობის ბოლოს გამოსულმა კ მენევმა აღნიშნა: „ჩვენ ვუახლოვდ ბით ყოველდღიურ საქმიან მოქმ დებას, რის გამო იცვლება თვ ბეჭდვითი საქმის დანიშნულება თუ ჩვენ დღემდე ვემყარებ დით მასსებს, დღეს სრულ ად უნდა შევუსისხლხორცდეთ მა

ახალ ცენტრალურ ბიუროს შე დგენლობაში არჩეულ იქმნენ მ რინი, ვარდინი, ინგულოვი, ნოვიც ივანოვ-გრამენი, ნიკოლაევი, ვოლ პავლოვი, კოვალენკო, ნარბუტი, გელი, კიკნაძე და ურიცკი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

მზადება თესვის-კომპანიისათვის. სალიანის მაზრაში ბამბის თესლის დიდი საჭიროებაა. მიწად-მოქმედების განყოფილება დიდ აგიტაციას აწარმოებს საგაზაფხულო სათეს სივრცის გასაფართოვებლად. მსურველი ეძლევა მიწის ნაჭრები. გლეხები უკვე შეუდგენ სარწყავი არხების გაწმენდას. ხილინის რაიონში 320 დესეტინის მანძილზე მინდვრის თაგვის საწინააღმდეგოთ საწამლავი ჩასდვეს.

სკოლის საქმე. სალიანის მაზრაში შკოლების შეკეთებისთვის ჩასატარებლად მოეწყო სამეული. შკოლების მცირეოდენი შეკეთება სალიანსა და ხანკიშლში უკვე დასრულდა, ხოლო კულტუკში შკოლების რემონტი გრძელდება. ყაზახის მაზრის სასოფლო საბჭოებმა სასწავლო წლის დაწყებამდე შეაკეთეს სკოლები. სკოლების შეკეთების თვის ჩამტარებელმა სამეულმა ზოგიერთ სკოლაში დამატებითი რემონტი მოახდინა. ზოგიერთი სკოლის შენობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. ამისათვის აუცილებლად საჭიროა ასეული მილიარდები. რომელიც სახალხო განათლების განყოფილებას არა აქვს. სოფელ კოჩასკერის გლეხობა თავისი მუშაობით შკოლის აღდგენას ხელს უწყობენ.

ბრძოლა კალიის წინააღმდეგ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა კალიის საწინააღმდეგო ორგანიზაციისთვის ხარჯთ აღრიცხვის ანგარიშში გაიღოს 30,000 ფუთი ნავთი ან შესაბამი ექვივალენტი 100 ცხენის აპარატის შესაძენად. გარდა ამისა დაადგინეს ალიძრას შუამდგომლობა შრომის და თავდაცვისა საბჭოსა და რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე კალიის საწინააღმდეგო ორგანიზაციის ტვირთის უფასო გადმოზიდ შესახებ.

ვულკანის ამოხეთქვა. 8 და 9 თ ბერვალს მიმავალმა ორთქლმავლებ შეამჩნიეს კუნძულ ლოს-ზე ვულკან ამოფრქვევა. ეს კუნძული ვულკანიუ წარმოშობისაა, ეკუთვნის ბაქოს ა ქიპელაგს და უდაბურია. მოხუცე რების მოწმობით ვულკანმა უკანა კნელად ამ 30 წლის წინად ამოხეთ

სომხეთი

საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთ სომხები

ამხ. ჩიჩერინის იმ განცხადების გ მო, რომ საბჭოთა რუსეთსა და უ რაინაში ოსმალეთიდან ლტოლვი სომხებს მიეცა მიწა დასასახლებლ გაზეთ „ხორურ დაინ—ჰაისტან"-ი მოწინავე წერილში ამხ. კარინი სწერს: ომმა შექმნა სომხეთის ოსმალეთის მშრომელთა შორის ან გონიზმი, რომელიც ერების განთ სუფლების ლოზუნგის გადმოსროლი პროპაგანდით და სხვა მოქმედებ ანტანტამ კიდევ უფრო გაამწ კაპიტალისტური ევროპის და ამე კის ცბიერმა პირმოთნე სახელმ ფოებმა თავისი სახე სავსებით გამ შკარავა „სომეხთა კერის" შექმ საკითხში:

ამერიკამ უარი სთქვა ლტოლვილ ბის მიღებაზე, ინგლისი ურჩევდა სო ხებს ბრაზილიის ჭაობებში დასახლ ბას.

საბჭოთა რუსეთი ამხ. ჩიჩერინის განცხადებით თავშესაფარს აძლ თავის ტერიტორიაზე ოსმალეთიდ ლტოლვილ სომხეთს. ეს—საბჭოთ ხელისუფლების მშრომელ სომხები დმი დამოკიდებულების საუცხო ფაქტია, რომელიც ამტკიცებს ს ციალისტური პრინციპების სიღრ ეროვნულ საკითხის გადაჭრის ქმეში.

აფერისტ სმოლსკის პროცესი

(მეოთხე სხდომის გაგრძელება).

დაკითხული მოწამე ზამან ზამანოვი მოუთხრობს სასამართლოს იმის შესახებ, თუ როგორ გააგზავნეს ის სხვებთან ერთად სმოლსკიმ და ორმა ლეკმა სადგურზე სადაც მათ საწსაწყობიდან ჩამოზიდული საქონლით დატვირთეს ვაგონი, რომელიც მოსკოვის სასწრაფო მატარებელს მიაბეს. ბრალდებულთა შორის ზამანოვმა სასამართლოში კონდრატიევი, ივანოვი, ფედორინი და ერისთავი იცნო. უკანასკნელს ის ქართულად გამოესაუბრა. სადიკოვის თარჯიმანი ჩიმიშკიანი მათთან სადგურზე არ გამგზავრებულა და ზამანოვისთვის უცნობ მიზეზის გამო წყნეთის ქუჩაზე დარჩა. მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ მეორე დღეს ერისთავი ავათ გახდა.

მე-5 და მე-6 დღეს შაქარი და სხვა საქონელი გაიყიდა. ზამანოვმა მოსკოვში 650 მილიონის მაგიერ 40 ოქროს თუმანი მიიღო. ეს მგზავრობა 19 დღეს გაგრძელდა. ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ მე-2 დღეს ზამანოვს ატუსაღებენ.

დაკითხული ზადიკოვი აცხადებს, რომ ხელშეკრულება სმოლსკიდან მან კონდრატიევის შუამავლობით დასდო, რომელიც ხელშეკრულების დადებამდე ფხვნილი შაქრის საყიდლათ ეწვია მას. კონდრატიევმა 2 ტომარი ფხვნილი შაქარი იყიდა მისგან, ფული კი არ გადაუხდია.

სადიკოვმა ხელშეკრულების დადების დროს თარჯიმნათ ვინმე ჩიმიშკინი მოიწვია, პირველ შეხვედრის შემდეგვე ჩიმიშკინმა ეჭვი გამოსთქვა.

სასამართლოს წევრის პანკრატ კითხვაზე—საიდან იცნობდა სად ვი ჩიმიშკიანს და რა მისცა მან უ ნასკნელს გასამრჯელოთ, სადიკ უპასუხა, რომ მისი ვაჟი ჩიმიშკ ქალიშვილთან სწავლობდა და გასამრჯელოთ მას ჩიმიშკიანის არაფერი მიუცია.

სასამართლომ დაკითხა სმოლს სახლის პატრონი, მოწმე ნათიშვი სა და მისი ქალიშვილი, ბრალდებ ერისთავის ცოლი. ნათიშვილისამ სამართლოს მოუთხრო სმოლსკის ულოვან და ნერვიულ მდგომარეო შესახებ. რაღაც ნერვიული ავადმ ფობით იყო ის შეპყრობილი. ნათ შვილი სმოლსკის მეზობელ ოთა ცხოვრობდა და მას ხშირათ მ მოდა სმოლსკის ოთახიდან კვნ ჩქარი ნაბიჯები და ერთხელ რა მძიმე საგნის დაცემის ხმა. ნათიშ ლი ფიქრობს, რომ ეს სმოლსკის ცემა იყო. დილას სმოლსკი უამბ და მას მისი ავადმყოფობის შესახ

მაგრამ ნათიშვილს ლამეს გაგ ლის შესახებ არა უკითხავს რა, რ გან არ სურდა მისი თავმოყვა ბისათვის შეხება.

ნათიშვილმა სმოლსკის გულის ხების ორი მაგალითი მოიყ სმოლსკი ერთხელ თავის მოკვლ შეეცადა. ექიმობდა ვიღაც თვა და ნერვების ექიმებთან. ნათიშვ თქმით, სმოლსკი ძალიან წყნარ ც ვრებას ატარებდა, სახლში ბრუ ბოდა არა უგვიანეს 10 საათ ყოველთვის ფხიზელი, ნათიშვილს მთვრალი არას დროს არ ენახ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო სამეურ. ფრონტზე

სათესლე სესხის აკრეფა

ახალ ქალაქის მაზრა.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულ წელს მაზრაში სეტყვამ გაანადგურა 7.000 დესიატინა ნათესი, 1922 წელში დარიგებულ სათესლე სესხის აკრეფა წარმატებით სწარმოებს. უკვე აკრეფილია 96 პროც. 1921 წელს დარიგებულ სათესლე სესხიდან აკრეფილია 50 პროც. სესხი უმთავრესად არ შემოუტანიათ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და საბჭოთა მოსამსახურეებს.

ახალციხის მაზრა.

ახალ ციხის მაზრაში ასაკრეფი იყო სულ 10.000 ფუთი სათესლე სესხი, რომლიდგანაც 8.8000 ფუთი ამად უკვე აკრეფილია. სესხი აც არ შემოუტანიათ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და საბჭოთა მოსამსახურეებს.

შორაპნის მაზრა.

ამ მაზრაში 2 წლის განმავლობაში მოსახლეობას დაურიგდა 24.000 ფუთი სიმინდი. სათესლე სესხის აკრეფა დაიწყო თებერვლის პირველ რიცხვებში. სწორედ ამ დროისთვის დამთავრდა სასურსათო გადასახადის აკრეფა მაზრაში.

შემოდგომის თესვის კამპანია 1922 წელს.

ახალ ქალაქის და ახალ-ციხის მაზრებში 1922 წლის შემოდგომის თესვის კამპანია. სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. როგორც პირველ, ისე მეორე მაზრაში სათესი მიწების სივრცე მიმდინარე წელს გადიდებულია 5—10 პროცენტით.

თუმცა ახალ ქალაქის მაზრაში წარსულ წელს მრავალი სოფლები მნიშვნელოვანად დაზარალდა სეტყვისაგან, მაგრამ საზამთრო ნათესები ამ სოფლებში ნორმალურ მდგომარეობაშია, ვინაიდან თესვის კომიტეტმა თავის დროზე მიაწოდა მათ სათესი მასალა. შორაპნის მაზრაში გლეხებმა საკუთარი საშუალებით დათესეს მიწები.

ნათესების მდგომარეობა.

აღნიშნულ მაზრებში საზამთრო ნათესებს კარგი სახე უჩანს და უხვი მოსავალის იმედს იძლევა. ახალციხის მაზრაში ზოგიერთ ადგილებში გაჩნდა თაგვები, მაგრამ მოსული თოვლი, უნდა ვიფიქროთ, დაიცავს ნათესებს ამ მავნეებიდან.

მოლსკი ხშირათ საჭიროებდა ფული და ამისათვის მას ხშირათ მიუმართავს ნათიშვილისთვის. უკანასკნელს ეს გარემოება ხშირათ აკვირვებდა, რადგან მას სმოლსკი საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეთ მიაჩნდა და ის უხერხულათ სთვლიდა, როდესაც სმოლსკი სოდენ მცირე თანხას—50—100 ათას მანეთს სთხოვდა.

მოწამე ერისთავი ამბობს იმ უცნაურობაზე, რომელიც მან სმოლსკის ასიათს შეამჩნია, მასთან ხანგრძლივ და ახლო ნაცნობობის განმავლობაში. ერთის მხრით უწონასწორო ნერვიულობა, შეურიგებლობა და უსაზღვრო მშვიდე უკიდურესი ზომიერება—მეორე მხრით. თავის ქმრის შესახებ ერისთავი ამბობს, რომ ის 2 იანვარს გაჰქრა ტფილისიდან და ეს გარემოება მან ქალ. ტფილისის კომენდანტს, ამხ. ლადო აბაშიძეს აცნობა. უკანასკნელმა მას ურჩია, მიემართა უმაღლეს რევტრიბუნალის თავმჯდომარისათვის და ეცნობა მისთვის რამოდენიმე დღის შემდეგ. რჩევის თანახმათ ის ცნობას აძლევს ამ ამბის შესახებ უმაღლეს რევტრიბუნალის თავმჯდომარეს,—ამხ. ვაშაძეს.

ქმრისაგან მან ორი დეპეშა მიიღო, ერთი დეპეშათაგანი—ბათომიდან იყო, რომლის შინაარსი მას ახსოვს და აცნობებს სასამართლოს: „საქმის გარემოების გამო ვერ ჩამოვალ, ნუ ღელავ, მიყვარხარ, გკოცნი. შენი ნიკა".

სწარმოებს კოჩაროვის სედრაკის დაკითხვა. უკანასკნელი 15 წელს სამსახურებდა შანთაშვილთან, შემდეგ წარსულ წლამდე—სახელმწიფო სამმართველოში. დათხოვნილი იყო შტატის შემცირების გამო.

დატუსაღებამდე იცნობდა სმოლსკის და კაჩკუროვს. მსახურობდა მასთან დამზადების აგენტად.

სმოლსკისაგან მიღებული ქონდა რამოდენიმე მოწმობა ვაგონის მიღებაზე, სამსახურის სახელით დეპეშის გაგზავნის უფლების შესახებ და სხვა. ასეთი მოწმობები მას 4—5 ცალი ქონდა.

კანცელიარიაში ის მხოლოთ ორი იყო. სამსახურში შესვლის შემდეგ—მეორე დღეს გაემგზავრა ტფილისიდან. კონდრატიევი მან განსაკუთრებულ განყოფილებაში (ოსობი ოტდელ) და გამასწორებელ სახლში გაიცნო.

ბრალმდებელი. რა მიიღეთ თქვენ ხელშეკრულებებისთვის?

კოჩაროვი. ერთი ხელშეკრულებისთვის 30 ვედრა ღვინო მივიღე. მივიღე აგრეთვე სხვა საქონელიც.

ბრალმდებელი. ვინ იყო თქვენ შორის ინიციატორათ ღვინისა და სიმინდის საქმეში?

კოჩაროვი. სიმინდის დამზადებაში ინიციატორათ ვიყავი მე.

ბრალმდებელი. სთხოვს კოჩაროვს დატოვოს დარბაზი სხდომის ბოლომდე.

მთელი რიგი მოწმების, როგორც ამხ. ლევან კოჩაროვის, მალინოვის, სტაიანოვების, მაჭაროვის, ვაჩნაძის და სხვათა, დაკითხვის შემდეგ, სასამართლომ გამოარკვია სმოლსკის სპეკულიანტებთან ნაცნობობის დიდი წრე, რომელთა დახმარებით იგი აწარმოებდა თავის „სავაჭრო" საქმეებს გაუჭირველად და „სისწრაფით" ...გვარების რასაკვირველია, მათ შორის არიან დაზარალებულნიც, რომელთაც სმოლსკი ატყუებდა, როგორც კერძო პირი, მაგრამ მათ შესახებ ისტორია სდუმს. ამავე დროს ...მოწმე-კომისიონერი, რომელსაც არ მიეღოს სმოლსკიდან ყალბი დოკუმენტი იმის აღნიშვნით, თითქოს იგი აგენტია ან „სასურსათო მომარაგების" რწმუნებული. დაკითხულ მოწმე ჯაფარიძე (სასურ. კომისარიატის პასუხისმგებელი ...) აცხადებს, რომ მან პირადათ იცის, რომ ბრალდებულს სმოლსკის რამოდენიმე მოწმობა მიეცა. იგი ასახელებს შემოსულ განცხადებათა ...რიგის შესახებ. თავმჯდომარის კითხვაზე, იცნობს თუ არა ჯაფარიძე რომელიმე ბრალდებულთაგანს, მოწმე აცხადებს, რომ მას ახლა არც ერთის სახე არ ახსოვს. ერთი მათგანი ...წითელ კანტიან ან ქუდით სამხედრო ტანსაცმელში. სმოლსკი სიტყვის თქმის ნებას ღებულობს და ...ილებით ჩერდება ჯაფარიძეს ...შეხვედრაზე კაბინეტში.

მოწმე—საბჭოთა სახლების გამგე, ...ხარის დაკითხვიდან ირკვევა ...ამ უკანასკნელიდან ბინა მან ...ულებით და სხვა საოჯახო ...ებით.

მოწმე—ფრიდმანის ქალი ადასტურებს, რომ მან სავაჭრო ფულის სახით მისცა 6.000.000 მან. ქრთამი იმ მიზნით, რომ მან „გაეთავისუფლებია" ძმები დატყვევულები საგანგებო კომისიის მიერ.

სმოლსკი მიმართავს მოწმეს ამ სიტყვებით: თქვენ მთხოვთ მომეწყო თქვენი გამგზავრება, და მე უარი გითხარით და დაგპირდით საღამოს მომეტანა თქვენთვის 2 მილიონი მანეთი, მაგრამ ამის შესრულება ვერ მოვახერხე საჩქაროთ გამგზავრების გამო.

მოწმე—გასილიუსი, ყოფილი ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სამხედრო ნაწილების მომარაგების რწმუნებული, მოუთხრობს სასამართლოს ფიქტიურ დაწესებულების გამოაშკარავების შესახებ და მისი მოთხრობა სრულიათ შეესაბამება მოწმე ერქომაიშვილის ჩვენებას.

მოწმე—ნიკოლოზ ფედოროვი, № 15 კამერას მეთვალყურე, აცნობებს სასამართლოს, რომ სმოლსკიმ აცნობა მას, თითქოს როლკე კედელს ხვრეტს გაპარვის მიზნით.

თავმჯდომარე 10 წუთით ხურავს სხდომას და ამით ათავებს მოწმეების დაკითხვას.

ბრალმდებელი მოითხოვს დაუსწრებელ მოწმეების ჩვენების გამოცხადებას.

სმოლსკის დამცველი—ალექსი-მესხიშვილი—მოწმე ნათიშვილის და სხვების ჩვენების გამო მოითხოვს შემდეგ სხდომაზე 3 ექსპერტი პსიქიატრის მოწვევას. დამცველის წინადადებას ძლიერ წინააღმდეგობას უწევს საზოგადოებრივ ბრალდების წარმომადგენელი, რომელიც ამ განცხადებას არა დროულათ სთვლის.

მცირე კამათის შემდეგ სასამართლო სათათბირო ოთახში გადის.

სხდომის ნახევარ საათით შეწყვეტის შემდეგ სასამართლო ადგენს, დააკმაყოფილოს დამცველთა მოთხოვნილება და შემდეგი სხდომისათვის 2 ექსპერტი გამოიწვიოს.

სხდომა გადადებულია შემდეგი დღის 5 საათამდე.

უმაღლეს რევტრიბუნალის მე-5-ე სხდომა იხსნება საღამოს 6 საათზე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ორი ექსპერტის ნაცვლად მოწვეულნი არიან დამსახურებული პროფესორი ანისიმოვი, ასათიანი და პონდოევი. სმოლსკის დამცველს ალექსი-მესხიშვილს შეაქვს პრეზიდიუმში განცხადება თხოვნით—მიეცეს ექსპერტიზას სამი კითხვა: 1) არის თუ არა სმოლსკი სრულიათ ნორმალური ადამიანი, 2) თუ ბრალდებულის პსიქიკაში არის ნაკლულევანება, როგორია ის და 3) არის თუ არა სმოლსკი ამ ჟამათ სრულიათ ნორმალურ მდგომარეობაში. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კომენდანტს გაიყვანოს დარბაზიდან მოწმე ნათიშვილი და ერისთავისა მოწმეთა ოთახში.

ექსპერთ ასათიანის მიერ სმოლსკისათვის მიცემულ კითხვის შემდეგ, თავმჯდომარე იწვევს მოწმე ნათიშვილს, რომელიც დაწვრილებითი პასუხს იძლევა ექსპერტიზის ყველა კითხვებზე. გამოწვეულია შემდეგ სმოლსკის ცოლი.

სმოლსკის ცოლისა და ექსპერტიზის კითხვა-პასუხიდან გამოირკვა, რომ სმოლსკი საავადმყოფოში ექიმობის დროს, ნერვიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ერთ ექიმს დაბადებია ეჭვი, თითქოს სმოლსკის განდიდების მანია სჭირდეს, მაგრამ მანიის დამამტკიცებელ ფაქტს ადგილა არ ჰქონია.

სხდომა შეწყვეტილია და თავმჯდომარე ორივე მხარესა და ექსპერტიზას სათათბირო ოთახში იწვევს.

სხდომის განახლებისას ექსპერტიზა აცხადებს სმოლსკის პსიქიურ მდგომარეობის გამოკვლევის შედეგს: „გაიცნო რა საქმის გარემოება, მოისმინა მოწმეთა ჩვენება და დაჰკითხა რა ბრალდებულ სმოლსკის, ექსპერტიზა მოცემულ სამ კითხვაზე უპასუხებს: 1) სულიერ ავათმყოფობის ფორმალური ნიშნები ნახული არ არის, მაგრამ შემჩნეულია სულიერი უწონასწორობა, 2) განსხვავება ნორმალურ პსიქიურ მდგომარეობასთან შედარებით გამოიხატება ამ სულიერ უწონასწორობაში, 3) არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბრალდებულის ეხლანდელი სულიერი განწყობილება—არაჩვეულებრივია. დამცველის კითხვის გამო პროფესორი ასათიანი განმარტავს, რომ სმოლსკის სულიერი უწონასწორობა ძლიერ ემჩნევა, მაგრამ მისი ინტელექტი სრულიათ მოკლებულია რაიმე ზიანს და ლოღიკურ კავშირი მასში დარღვეული არ არის.

ამით თავდება ექსპერტიზის ჩვენება. დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარე სასამართლოს სხდომას დახურულათ აცხადებს,

ბრალდებისა და დაცვის კამათი გადადებულია შემდეგი სხდომისათვის, რომელიც შესდგება საღამოს 5 საათზე.

მე-6 სხდომა.

საღამოს 6 საათზე თავმჯდომარე ხსნის სხდომას და აცხადებს, რომ სასამართლო მხარეების კამათზე გადადის. სიტყვას იღებს საზოგადოებრივ ბრალდების წარმომადგენელი რონიაშვილი.

საზოგადოებრივ ბრალდების წარმომადგენელი ამბობს, რომ სმოლსკის პროცესმა დიდი პროცესსუალურ განცდების ბევრ მოყვარულს ლოდინი გაუცრუა. „ის, რასაც მოელოდენ, არ ყოფილა".

აღნიშნავს რა საბჭოთა ხელისუფლების სისხლის სამართლის კოდექსის უპირატესობას ბურჟუაზიულ კოდექსების წინაშე, ის ანვითარებს სასამართლოს წინაშე „საშიშროების თეორიას".

1) საშიშროება სახელმწიფოსათვის ბოროტმოქმედ ელემენტისა,

2) საშიშროება იმ პირობებისა, რომელთა გამო ჩადენილია ბოროტმოქმედება.

არიან თუ არა ნამდვილათ, ხასიათით ც პსიქოლოგიით, ბოროტმოქმედნი ის პირები, რომლებიც ჩვენ ასეთათ მივაჩნია ან რამდენათ საშიშო არიან ისინი? ჩვენ არ გვაინტერესებს ბრალდებულთა მიმართ კითხვა: „რამდენი მიიღეთ თქვენ?", ან „რა ჩაიდინეთ თქვენ, რამდენათ დიდია თქვენ მიერ მოტანილი ვნება?" საკმარისია ის ხმაურობაც, რომელიც გამოიწვია ამ ბოროტმოქმედ ორგანიზაციამ. ორი წლის განმავლობაში ლაპარაკობდენ, სჯიდენ, რამდენი წვირე, რამდენი ინსინუაცია იყო გავრცელებული საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ბოროტმოქმედებმა შემოჰკრიბეს თავის გარშემო მტაცებლების მთელი ბრბო, რომლებიც ყოველ წუთს მზათ იყვნენ თავისი სპეკულიანტური, ბოროტი ინტერესების სასარგებლოთ მსხვერპლათ მოეტანათ სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები.

ეს არ კმარა. ორგანიზაცია შეეხო საბჭოთა მთელ დაწესებულებებს, ბოროტ-მოქმედებისათვის უცხო საქმიან პირებს.

დედა ქალაქის ცენტრში მარტში იხსნება დაწესებულება და ამ თვეშივე ის აღმოჩენილი და დატუსაღებულია. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ თუ ეს ორგანიზაცია შემთხვევითაც იყო აღმოჩენილი სულ ერთია, ორი სამი დღის შემდეგ ის დატუსაღებული იქნებოდა. შეუძლებელიაცაა, სხვანაირათ მომხდარიყო. ასეთ თავხედობას შეეძლო მიეღწია მხოლოთ ისეთს ბოროტმოქმედს, როგორიც არის სმოლსკი და მისი უახლოესი მოწაფე—კონდრატიევი—ღირსეული მოწაფე ღირსეულ მასწავლებლისა, რომელიც ზოგიერთ ხერხით თვით სმოლსკისა სჯობს. ჩვენ დავეკითხეთ აქ სასურსათო სახალხო კომისარს და სხვა მოწმებს. როგორი საკვირველი ცოდნა აქვს სმოლსკის სახელმწიფო მექანიზმისა, ყველა დეკრეტებისა, რომლებსაც თვით მოსამსახურენიც არ იცნობენ და ამასთანავე, როგორი ნიჭი მოსამსახურეთა გულში კითხვისა და მათო პიქიკაზე მოქმედებისა. თუ ამას დაურთომ ისეთ ხერხებსაც, როგორც მუქარის ზომებს, მოთხოვნილებებს გადაჭრით, ყვირილით და უფროსის სასტიკი კილოთი—სურათი სრულიათ ნათელი ხდება.

როდესაც პირველ ორ დღეს მე ვსწავლობდი სმოლსკის უნდა გავტყდე—სმოლსკიმ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს მას კეთილის გულით სურს გამოტყდეს მთელ თავის დანაშაულში, არასფელი არ დაფაროს სასამართლოს წინაშე რაც საშვალებას მოგვცემდა ჩვენ დანარჩენ პირთა ბოროტმოქმედებების აღმოგვეჩინა.

უფლება ზომიერ სახელმწიფოს თვალსაზრისით, როგორიც არის საბჭოთა ხელისუფლება, როგორც თავისი, აგრეთვე სხვისი დანაშაულის დაფარვა, დიდ ბოროტმოქმედებათ ითვლება. სმოლსკიმ გამიცრუა ლოდინი.

ის ამბობდა ტყუილს და უკანასკნელ დღეს ჩემი ლოდინის გაცრუება გამიძლიერა. სმოლსკის აღსარება გარემოებაზეა დამოკიდებული.

ეს სჩანს მისი განცხადებიდან ნევეროვსკის ხელმოწერის შესახებ.

სმოლსკი თავისი ბოროტ-მოქმედების ერთ ერთ მოტივათ ასახელებს სიყვარულს თავის ცოლისადმი, რომლის უზრუნველყოფას ის ცდილობდა. ამ სიყვარულის სამსხვერპლოზე ის სდებს ყველაფერს... მან წაიკითხა წერილი... სადღაა მისი სიყვარული ცოლისადმი... სადღაა მისი სიყვარული, სადღაა ეს ძლიერი გრძნობა ცოლისადმი. ბილეთ ჩვენება ნათიევ-ერისთავის ქალის, რომელმაც განაცხადა, რომ სმოლსკი შეყვარებული რჩებოდა ყველა მის ამხ. ქალებზე, რომელსაც ის აცნობდა სმოლსკის. სმოლსკი სავსებით ჯანმრთელია, ის მისდევს რაღაც პრინციპს. ის არავის არ უზიარებს თავის იდეიას. ცოლი წავიდა და ის იტანჯება. შეველინსკი—ის სმოლსკის ბოროტი გენიაა. წავიდა შეველინსკიც, ჰორიზონტზე ჩნდება რობერციო. სმოლსკი რობერციოს ხელმძღვანელობით სჩადის მთელ რიგ ბოროტმოქმედებას. მას მართ-აც შეეძლო მოეხდინა თვითმკვლელობა, რომ თავის დროზე არ შეხვედროდა კონდრატიევს, რომელიც რობერციოს მაგიერობას უწევდა მას და კონდრატიევი ეჭვს გარეშეა სმოლსკიზე უფრო ჭკვიანია. სმოლსკი რუსეთში ვერ პოულობს სასურველ ნიადაგს. სამოქალაქო ომი დამთავრდა, საბჭოთა აპარატი სავსებით მოწესრიგდა. ის ეძებს მუშაობის უკეთეს პირობებს. ასეთ პირობებს ის პოულობს საქართველოში, სადაც სახელმწიფოებრივი აპარატი თავის ორგანიზაციის პირველ სტადიაში იმყოფება. ის კონდრატიევთან ერთად ჩამოდის ტფილისში და გ ნაგრძობს თავის საყვარელ პროფესიას. არის მომენტები, როდესაც კონდრატიევი სმოლსკიზე ბევრად უფრო ჭკვიანად იქცეოდა. მაგალითად, სასურსათო სახ. კომისარიატში სმოლსკიმ დაჰკარგა თავისი ნდობა მაშინ, როდესაც კონდრატიევმა ასეთი შეინარჩუნა ბოლომდე გამოიჩინა რა სისასტიკე და უდიდესი თავხედობა. თუ სასამართლო ნებას მომცემს მე მას უწოდებ „თავხედს".

კონდრატიევი დამნაშავეა იმაში, რომ მან იცოდა რა, რომ სმოლსკი ფაქტიური პიროვნებაა, მაინც დაიჭირა მასთან კავშირი და მონაწილეობა მიიღო მის ბოროტმოქმედებაში, რამაც ბრალდებულის სკამზე მოაქცია ის. კონდრატიევის წინააღმდეგ მასალა მეტია, ვიინემ სმოლსკის წინააღმდეგ. სმოლსკი, კონდრატიევი და კოჩკუროვი ძმური ურთიერთობით არიან დაკავშირებული. ისინი ცხოვრობდენ ერთად და მაშასადამე არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ არაფერი ერთი მეორეს მოქმედების შესახებ.

შეეხო რა დანარჩენ ბრალდებულთ, საზოგადოებრივ ბრალდების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი სხვაგვარ მდგომარეობაში არიან.

რონიაშვილი მიმართავს სასამართლოს ეს პროცესი შეაფასოს საზოგადოებრივ წყობილებისათვის შექმნილ საფრთხის თვალსაზრისით.

სასამართლოს განაჩენი

ანდრეი სმოლსკის სასამართლომ დასჯის უმაღლესი ზომა მიუსაჯა, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ნოემბრის ამნისტია, სასამართლომ უმაღლესი სასჯელი 10 წლის დაპატიმრებით და სასტიკი იზოლიაციით—შეუცვალა.

კონდრატიევ პავლეს მიუსაჯეს 10 წლის პატიმრობა, მაგრამ ნოემბრის ამნისტიის გამო, ეს სასჯელი ერთი მესამედათ შეუმცირდა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით, კოჩკუროვი ემელიანე გრიგორის ძე 5 წელიწადი იძულებითი მუშაობისა. ეს სასჯელი, ამნისტიის ძალით, შეუმცირდა ერთი მესამედათ წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

ივანოვი ადრიანი—3 წელიწადი, ამნისტიის ძალით სასჯელი შეუმცირდა ერთ მესამედათ წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

ერისთავი ნიკოლოზი—2 წელ. ამნისტიამ სასჯელი ნახევრათ შეუმცირა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

ფედოროვიჩი ბორისი—1 წელიწადი და ამნისტიის ძალის განთავისუფლებულ იქნა.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: რა შემთხვევაში შეუძლია სახლის პატრონს და ისიც სასამართლოს განაჩენით დააცლევინოს მუშას ბინა?

პასუხი: ა) იმ შემთხვევაში, თუ ბინას მუშები ექცევიან ცუდად, რის გამოც ის ფუჭდება და ან როცა ვერ ინახავენ მას სუფთად.

ბ) თუ ისინი ქმნიან ისეთ პირობებს, როდესაც შეუძლებელი ხდება ერთათ ცხოვრება სახლში.

კითხვა: აქვთ თუ არა ნება სახლის პატრონს თავის სურვილით, თუ ამაზე არ არის სასამართლოს დადგენილება, დააცლევინოს ოთახი ან ბინა პროფკავშირის წევრს, მუშას, ან მოსამსახურეს?

პასუხი: არა. პირიქით, სახლის პატრონები, რომელნიც მიმართავენ ასეთ ზომებს, იქნებიან მიცემულნი პასუხის გებაში და სისხლის სამართლის კანონების 139 მუხლის თანახმად დაისჯებიან იძულებითი მუშაობით ექვსი თვის ვადით და ჯარიმით.

კითხვა: ეძლევათ თუ არა ჯამაგირი იმ მუშა მოსამსახურეთ, რომელნიც არიან პასუხის გებაში მიცემულნი და გამოძიების ქვეშ იმყოფებიან?

პასუხი: თუ ისინი სრულებით არიან დათხოვნილნი სამსახურიდან, მათ არავითარი ჯამაგირი არ ეძლევათ, თუ დროებით არიან გადაყენებულნი, მაშინ ეძლევათ ჯამაგირის 50 პროცენტი (ე. ი. ნახევარი ჯამაგირი) დღიდან მისი გადაყენებისა, ვიდრე სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება საბოლოო განაჩენი; იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება გასამართლებელი განაჩენი, იმათ სრულიად უბრუნდებათ დაჭერილი თანხა და ისინი რჩებიან თავიანთ ძველ სამსახურში.

ბიუროს მდივანი: **ბეგიაშვილი.**

თამბაქოს ქარხანა.

„პროლეტარიატ"-ი.

ამა წლის ხუთ თებერვალს აღნიშნულ ქარხანაში მოწვეულ იქნა აქაურ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. გარდა ამხ. მუშებისა კრებას დაესწრნენ აგრეთვე მეორე რაიკომის წარმომადგენლებიც.

დღის წესრიგში იდგა წითელი ფლოტის საკითხი.

აღნიშნულ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთეს რაიკომის წარმომადგენლებმა, რომელთაც ნათლად და გარკვევით განუმარტეს მუშებს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და უდიდესი მნიშვნელობა წითელი ფლოტისა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. მუშები დიდი აღტაცებით შეხვდნენ რაიკომის წარმომადგენლების მოწოდებას და ერთხმად დაადგინეს გადასდონ წითელი ფლოტის სასარგებლოდ თავისი დღიური ხელფასი. ჩემი აზრით, ყველა დარგის დაწესებულების და წარმოების მუშათათვის სავალდებულო უნდა იყოს წითელ ფლოტის აღსადგენად შემოწირულების გამოღება რადგანაც ჩვენ წითელ ჯარზე და ფლოტზე დამყარებულია ჩვენი რევოლიუციი მონაპოვარი და ჩვენი თავისუფლების შენარჩუნებაც.

მაშ, ნუ დავიშურებთ, ამხანაგებო, ჩვენი შრომის ძალღონით შეძენილ წვლილს ამ დიდებულ და საშვილიშვილო საქმისათვის, თუ არ გვინდა; რომ ძველებურად ისევ მონის უღელში შევებათ და ფეხებში ხუნდებ გაყრილი ვიაროთ. გაუმარჯოს მშრომელ ხალხის ერთგულ ჯარსა და ფლოტს! გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლიუციას!!!

მუშა **ალ. ბ—შვილი,**

სახელმწიფო ღვინის ქარხანა № 1.

ლენინის ქუჩა № 30.

ამ ქარხანაში მუშაობს 21 მუშა-მოსამსახურე. მათ შორის მუშებია—14. მუშები კმაყოფილნი არიან თავისი ხვედრი ულუფით და გასამრჯელოთი, ვინაიდან ისინი ღებულობენ ჯამაგირს საშუალოდ 12 მილიონამდე თვეში და თავის დროზე; გარდა ჯამაგირისა მათ ეძლევათ ორ-ორი ბოთლი კონიაკი და ორ-ორ გირვანქა საპონი თვეში ულუფის სახით, აგრეთვე მანუფაქტურა და ორ-ორი ფუთი პურის ფქვილი ჯამაგირის ანგარიშში—ცოტა დაკლებულ ფასებში. თვეში ორჯერ უფასოდ ეძლევათ მათ აბანო. წელიწადში ერთი თვის შვებულებით სარგებლობს ყველა მუშა, ვინც კი არ ისარგებლებს შვებულებით, ისინი ღებულობენ კომპენსაციას.

მუშა-მოსამსახურენი ღებულობენ ღვინის ტრესტის სამმართველოდან 5 ცალ გაზეთს უფასოდ, მათ შორის ორი გაზეთი მათ მოსდით ქართულ ენაზე, ორი რუსულზე და ერთი ცალი სომხურზე.

აქაური მუშა-მოსამსახურენი არიან პროფკავშირის წევრნი და იხდიან კავშირის სასარგებლოდ 2 პროც.—დამშეულთა სასარგებლოდ—1 პროც., უმუშავართა სასარგებლოდ 1 პროც. და დამზღვევ კასის სასარგებლოდ 1 პროც., ასე რომ აქაური მუშა-მოსამსახურეები ყოველ თვე იხდიან სულ 5 პროც. თავის ჯამაგირიდან.

აღნიშნულ გადასახადებს მუშები უყურებენ შეგნებულად და ზემო დასახელებულ დაწესებულებათა სალაროებში შეაქვთ ფულები დაუგვიანებლად და თავის დროზე.

ინხ. კორ. ხ. შ.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარი № 4.

ყველა საოლქო სამაზრო კომიტეტებს და ტფილისის კომიტეტს

დაამთავრა რა ახალი პარტიულ ბილეთების და დროებით მოწმობების ცენტრალურ კომიტეტიდან გაცემა, საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა პარტიულ ვინაობის დამამტკიცებელი ყველა ძველი პარტიული ბილეთები და მოწმობები, მიცემული სხვა და სხვა პარტიულ ორგანიზაციების მიერ, გადმოგზავნოთ საქ. კომ. პარტიის ცეკას სააღრიცხვო სასტატისტიკო განყოფილებაში და 1923 წლის 1 მარტიდან ასეთები ჩაითვალოს უვარგისად.

ცენტრალურ კომიტეტის მდივანი **ხაბაშვილი.**

სააღრ.-სასტატ. განყოფილების გამგის მაგიერი **მირიმანოვი.**

ცირკულიარი № 1.

ყველა საოლქო, სამაზრო კომიტეტებს და ტფილისის კომიტეტს

ადგილებზე მუშაობის გაადვილების და პარტიული ბილეთების დაჩქარებით დარიგების მიზნით, საქ. კომპარტიის ცეკას აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილება უკვე შეუდგა მათ შევსებას. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ ახალი ფორმის პარტიული ბილეთები, დამტკიცებული ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიის მიერ, დაიგზავნება წარმოდგენილი სიების მიხედვით.

ბილეთების გაცემის დროს აუცილებელი საჭიროა ხელმძღვანელობა ცირკულიარების, დებულებების და ს. კ. პ. წევრთა აღრიცხვა—განაწილების ინსტრუქციების კრებულში მოთავსებულ ინსტრუქციებით—ერთიან პარტიულ ბილეთის შესახებ.

ძველი ფორმის პარტიული ბილეთის ახალზე გადაცვლა და გაცემა სწარმოებს მხოლოდ სიიდან სრულიად-რუსეთის პარტიულ აღწერაში გატარებულების გამოყოფის გზით თქვენი ორგანიზაციის წევრთა რიცხვის, თქვენი ორგანიზაციიდან დღემდე მოსულების და გამორიცხულების გამორკვევის შემდეგ.

წინასწარ, ბილეთების მიღებამდე, ორგანიზაცია ამოწმებს: ესა თუ ის წევრი გატარებულია თუ არა პარტიულ გაწმენდაში, შემოწმებაში და აღწერაში; არის თუ არა მასზე შედგენილი საპირადო ფურცელი, შეტანილი აქვს თუ არა საწევრო გადასახადი 1923 წ. 1 იანვრამდე.

დამატებით წინად გამოცემულ ზემოდ-აღნიშნულ ცირკულიარებისა და ინსტრუქციებისა პარტიულ ბილეთების გაცემის შესახებ, ს. კომპარტიის ცეკას აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილება განმარტავს:

ა) დაუშვებელია პარტიულ ბილეთების ყოველგვარი შესწორება.

მთლიანად და სისწორით შეუვსებელი ბილეთები უნდა გადაეგზავნოს ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, როგორც უვარგისები ახლებზე გადასაცვლელად.

ბ) დაუშვებელია აგრეთვე პარტიის წევრის დაქორწილებასთან დაკავშირებით პარტიულ ბილეთში გვარის შეცვლა. შენიშვნა გვარის დამატების შესახებ კეთდება ბლანკ „ა„-ზე და პარტკომების სააღრიცხვო მასალებში.

გ) სიები, თუ მათში აღმოჩნდება შეცდომები, შეიძლება შესწორებული იქნეს ადგილებზე, ხოლო სიის თვითეულ შესწორების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს.

დ) აკრძალულია დაგზავნილ ახალი ფორმის პარტ. ბილეთების რიცხვიდან დაკარგულ ან მოტაცებულ ბილეთების ნაცვლად ახალი ბილეთების გაცემა. სიკვდილის ან ს. კ. პარტიიდან წევრის გასვლის ან გამორიცხვის შემთხვევებში, მოსრულთა და გამორიცხულთა აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, ბილეთი უნდა გადაეგზავნოს ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტს.

1. სხვა ორგანიზაციებში შესულ ამხანაგების და გამორიცხულების დაურიგებლად დარჩენილი ბილეთები და „ა" ბლანგები უნდა დაბრუნებული იქნეს ს. კ. პ. ცეკაში, სიაში აღნიშნული უნდა იყოს საწევრო გადასახადის შეტანა, თუ ასეთი სწარმოებდა, რად გადაერიცხა, ან თუ გამორიცხულია—რა დროიდან?

2. გასულთა და გამორიცხულთა ბილეთები'ს და „ა" ბლანკების ს. კ. პ. ცეკაში გადაგზავნასთან ერთად ს. კ. პ. ცეკიდან მოთხოვნილი უნდა იქნეს ბილეთები იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც აღრიცხული არიან სხვა ორგანიზაციებში და ამის გამო არ მიუღიათ ბილეთები. მოთხოვნილება შედგენილი უნდა იქნეს სიის ფორმით, რომელშიაც სის, ორით უნდა აღინიშნოს: გვარი, სახელი, მამის სახელი, ორგანიზაცია, მაზრა, რაიონი, იაჩეიკა და როდის არის გატარებული აღწერაში.

3. ყოვლად დაუშვებელია პარტიის წევრების პირადათ გამგზავრება თავისი ბილეთისათვის ს. კ. პ. ცეკაში.

4. აღნიშნულ სიის მიხედვით პარტიულ ბილეთების მიღებამდე დარიგებული იქნება დროებითი მოწმობები, რომელთაც ძალა აქვთ პარტიულ ბილეთის მიღებამდე.

5. დროებით მოწმობების დარიგების დროს უნდა იხელმძღვანელოთ იმავე ინსტრუქციებით. ამასთან დამატებით ცეკას აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილება განმარტავს: თუ მოიპოვებიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზებით დღემდე არ გატარებულან პარტიულ აღწერაში, მაშინ დროებით მოწმობების დარიგების დროს შედგენილი უნდა იქნეს სია, რომელშიაც სისწორით აღნიშნული უნდა იყოს აღწერაში გაუტარებლობის მიზეზი და სიის ასლი უნდა გადაიგზავნოს ცეკას აღმრიცხავ სტატისტიკურ განყოფილებაში.

შენიშვნა: ახალი ფორმის პარტიული ბილეთის მიღების დროს სასურველია, თუ ადგილებზე მყოფი პარტიული ამხანაგები დააკრავენ მათ ფოტოგრაფიულ სურათებს.

ცეკას მდივანი: **ხაბაშვილი.**

აღმრიცხავ-სტატისტიკურ განყოფილების გამგის მოადგილე: **მირიმანოვი.**

1923 წ.
8 თებერვალი.

დახმარება წითელ ფლოტს

(ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კომუჯრედში).

2 თებერვალს ერთიან პარტიულ დღეს შესდგა როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკასთან არსებულ კომუჯრედის სხდომა; დღის წესრიგში იდგა. შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება წითელ ფლოტის შესახებ, 2. ინფორმატორ-კორესპონდენტის და ახალგაზრდათა კომკავშირში წარმომადგენლის არჩევა და, 3. პარტიის კანდიდატების წევრებად გადარიცხვის შესახებ.

პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა კომუჯრედებზე მიმაგრებულმა ამხ. მარიამ ორახელაშვილმა. მოხსენების მოსმენის შემდეგ კომუჯრედს გამოაქვს რეზოლაუცია შემდეგი შინაარსის: ყოველგვარი დახმარება წითელ ფოლტს: კომუჯრედის ყოველი წევრის ერთი დღის ხელფასი გადაირიცხოს წითელი ფლოტის სასარგებლოდ. წინადადება მიეცეს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს თავისი ნახევარი დღის ხელფასი გადარიცხონ ფლოტის სასარგებლოდ.

მიჰბაძეთ კომუჯრედის მაგალითს.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ კომუჯრედის წინადადებაზე ნახევარი დღის ხელფასის წითელი ფლოტის სასარგებლოთ გადარიცხვის შესახებ, ერთხმად დაადგინა: გადასდვან ფლოტის სასარგებლოდ არა ნახევარი დღის, არამედ თავისი ერთი დღის სამუშაო ხელფასი.

ინფორმატორ-კორესპონდენტის არჩევა.

კომუჯრედმა აირჩია ახალი ინფორმატორ კორესპონდენტი და დაავალა მას სისტემატიურად აგზავნოს გაზეთში ცნობები კომუჯრედის, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა ცხოვრებისა და წარმოების მდგომარეობის შესახებ. ეს უნდა გახდეს მაგალითი სხვა უჯრედებისათვის.

წითელ ფლოტს.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სტუდენტთა და მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა კომუჯრედმა ამხ. გ. ნუცუბიძის მოხსენების მოსმენის შემდეგ, ერთხმად დაადგინა ყოველ მხრივ დაეხმაროს მუშათა კლასის მტრების გულ საკლავ—წითელი ფლოტის გაძლიერების საქმეს. სხვა დახმარების გარდა ამავე კრებაზე შეკრებილ იქნა შეწირულებანი წევრებისაგან ფლოტის სასარგებლოდ.

ვჩქარობთ გავიგოთ რა გააკეთეს სხვა უჯრედებმა ფლოტის დახმარების საქმეში.

გურიის სამაზრო პარტკომის მუშაობა 1922 წ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მას შემდეგაც პირველ ხანებში, გურიაში დიდი გასავალი ჰქონდა მენშევიკურ წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. მათი პარტიის წევრები, უმეტესობა რა თქმა უნდა ვაჭრები—სპეკულიანტები—ჩარჩები, ცხრა ათასამდე ადიოდა და ეს გასაკვირიც არ არის, ვინაიდან მათი დემაგოგიის, პროვაკაციის, ჭორების და ინსინუაციების კორიანტელს, რომელსაც ისინი მთელი თავის პრესას და მჭერმეტყველობას ანდომებდენ, რაიმე ნაყოფი უნდა გამოეღო აქ, რაიმე გავლენა უნდა მოეხდინა მეჩხანებზე და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებზე. მაგრამ ს. კ. პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტი იწყებს მასთან სისტემატიურ, იდეურ ბრძოლას და სულ მალე მიწასთანასწორებს ამ არარაობაზე აგებულ სპეკულიანტთა პარტიას. გურიის კომიტეტი ერთი მხრივ თვალ-ყურს ადევნებდა ყველა საბჭოთა აპარატებს, რომლებიც პრაქტიკულად გამოუცდელი იყვნენ სახელმწიფოებრივ მუშაობაში და მოსალოდნელი იყო ამა თუ იმ შეცდომების დაშვება—ეს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ის დიდ ენერგიას ხარჯავდა და მრავალ იდეურ ზომებს მიმართავდა როგორც პარტიის წევრების, ისე თვით უპარტიო ფართო მასების გასათვითცნობიერებლად და ამ მხრივ ბევრი რამ გაუკეთებია.

1922 წელი მეტად მნიშვნელოვანია გურიის მშრომელთა ცხოვრებაში. ის იწყება საბჭოთა არჩევნებით. ჩვენ კარგად გვახსოვს თუ როგორ პროვაკაციას და დაბალ ზომებს მიმართავდენ გახრწნილი მენშევიკები და მათი ძმები არჩევნების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა ის იწვევს საბჭოთა სამაზრო ყრილობას, რომელსაც ესწრება 113 დელეგატი, გურიის მცხოვრებთა უმეტესობის მიერ არჩეული. აქედან 100 კომუნისტი, ხოლო 13 უპარტიო და ეს გახლდათ პირველი ჩვენი გამარჯვება, ხოლო ყველა ავანტიურისტებისთვის მწარე ლახვარი. მაგრამ ჩვენი მტრები ამის შემდეგაც არ ცხრებიან და სიმშილობას, რომელიც საქართველოს თავს მოახვია გვალვამ, ჩვენ გვაწერენ. კომიტეტი ამის წინააღმდეგაც თავის დროზე იღებს ზომებს. ითვალისწინებს რა მომავალ დამშევას გურიის მცხოვრებლებისა, ერთი მხრივ ის კეტავს მაზრას და არ აძლევს სპეკულიანტებს საშუალებას სურსათ-სანოვაგის გაზიდვისას, ხოლო მეორე მხრივ ჰქმნის დამხმარე კომიტეტს და მაზრის მასშტაბით ატარებს კამპანიას, აცნობს ხალხს სიმშილობის მიზეზებს და მოუწოდებს დამშეულების დახმარებისაკენ, რამაც ბრწყინვალე შედეგი გამოიღო. შიმშილობა აცილებულ იქმნა თავიდან.

გურიის კომიტეტმა შეამჩნია, რომ ხვნა-თესვის საქმეშიც პროვაკაციას ეწევიან მოღალატენი. ის ატარებს მთელი მაზრის ფარგლებში კამპანიას, რომლის დროს ამხანაგები სათანადო ახსნა-განმარტებას აძლევენ გლეხებს და აღუთქვამენ მათ დახმარებას როგორც იარაღებით, აგრეთვე სათესლით. შედეგად ვხედავთ, რომ გურიაში ითესება თუ ნახევრათ არა—ერთი მესამედით მეტი მიწა, ვინემ ოდესმე ითესებოდა. შემდეგ ერთად ერთ საპროვაკაციო საგნათ მენშევიკები მაზრაში იყენებდნენ ნატურ-გადასახადის საქმეს. კომიტეტმა განუმარტა ხალხს მნიშვნელობა ნატურ-გადასახადისა, მისი აუცილებლობა, რამაც შედეგად მოგვცა ის, რომ 95 პროც. გადახდილ იქნა, ხოლო დანარჩენის შემოტანა გადადებულ იქნა ახალი მოსავალისათვის.

კომიტეტმა მთელ გურიაში ჩაატარა თვალსაჩინო კამპანიები ესერების პროცესის, გენუის შედეგების და მენშევიკების 24 მაისის ავანტიურის გარშემო, ხალხს გამოჰქონდათ მათ წინააღმდეგ ზიზღით აღსავსე რეზოლიუციები.

კომიტეტმა ამას გარდა ამ წლის განმავლობაში ბრწყინვალეთ ჩაატარა წითელ არმიელთა კვირეული, ქალთა დღე, ბავშათა დღე.

კომიტეტმა თავისი პარტორგანიზაციების საშუალებით შესძლო განემარტა გურიის მშრომელთათვის კოოპერაციის მნიშვნელობა და ის, რომ აქ დარჩენილი მენშევიკობა ამ დაწესებულებას ფართოდ იყენებს თავისი ბნელი საქმეებისათვის, ძირს უთხრიან კოოპერაციას საქართველოში. ხალხმა განდევნა ისინი კოოპერაციიდან და გასწმინდა ეს დაწესებულება ქვენა ზრახვებით ამოძრავებულ ელემენტებისაგან.

გურიის კომიტეტმა ამასთან ერთად დაავალა აგიტპროპის განყოფილებას, სანამ მაზრაში გაიხსნებოდეს პარტ-სკოლა პარტიულ ამხანაგებისათვის, დაარსოს ჩოხატაურში, ლანჩხუთში და ოზურგეთში სისტემატიურად მომაცადინე წრე და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ კომიტეტმა ყველა ამასთან დიდი ზეიმით გადაიხადა ლენის მუშების დახვრეტის აღსანიშნავი დღე, პირველი მაისი, რომელშიაც თითქმის მთელი გურია იღებდა მონაწილეობას და ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე გამართული არა ჩვეულებრივი ზეიმი, რამაც აშკარად დაამტკიცა მენშევიზმის გაკოტრება. საერთოთ გურიის კომიტეტმა 1922 წლის განმავლობაში ჩაატარა 160 მიტინგი, 17 მასიური კრება, 138 პარტიული კრება, 27 რაიონული პარტიული კრება და კომუჯრედების 535 კრება.

ასეთია ზოგადათ გურიის კომიტეტის მუშაობა 1922 წელში. მენშევიკებსა და მათ ამყოლებს ერთხელ და სამუდამოდ ფარდა აეხადა და მათი სისაძაგლე მზეზე გამოეფინა.

მომავალში კომიტეტის მუშაობა გაცილებით გაადვილებულია. უსურვებ მას გამარჯვებას.

პროლეტარი.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე

10 თებერვალს დაახლოვებით შემდეგი ფასებია:

ფქვილი ყუბანის სეიანკა, ხორბ. ფუთი—800—850 მ. ფქვილი ხორბლ. ადგილობრივი ფუთი 450—500 მ. სიმინდი ადგილობრ. ფუთი—400—450 მ. თეთრი. ხორბალი ადგილობრივი, ფუთი—350—400 მ. სიმინდი ადგილობრ. ფუთი—300 მანეთამდე. ქერი ადგილ. ფუთი—280 მანეთამდე. შაქარი რაფინადი, შაქრის ფხვნილი—აქციზის შემოღების გამო ფასები გამოურკვეველია.

ბიაზი C. C. C. „სობ. გ" ნაჭერი 40 იარ. 20—20, 50. ოსმ. ქალ. ლირა. ჩითი საზღვარ-გარეთ. იარდი 25—31 პიასტრი. ჩითი, რუსული, არშინი 130—150. სატინი, ფრანგული მეტრი 55—110 პიასტრი. სატინი, რუსული, არშ. 180 დან. სატინი, ცინდელი 5—4, არშ. 310. მადეპალამი საზღვარ-გარეთელი, იარდი 50 პიასტრიდან. საპონი „მარსი" 50—23 ოსმალური ქალ. ლირა. საპონი მარმარილოს ფუთი—2300—2800.

ქრონიკა

ბანდიტ-მენშევიკების თავდასხმა

ოზურგეთიდან იტყობინებიან, რომ 10 თებერვალს, დღის 12 საათზე, ქალაქიდან 2 ვერსის დაშორებით ს. ლიხაურიდან მომავალ ქართული სამოსწავლო საკადრო ბათალიონის სამხედრო კომისარს ამხ. ოზოლაძეს, ამავე ბათალიონის უფროსს ამხ. სანიკიძეს და გუნდის უფროსის თანაშემწეს ამხ. ჩუბინაიშვილს საფარიდან სროლა აუტეხეს მენშევიკ-ბანდიტებმა, რომლებმაც შემდეგ მათ ეტლს ესროლეს ხელით სასროლი ყუმბარა. სამივე ამხანაგი მოკლულია.

ამიერ-კავკასიის ცენტ: აღმასკომში.

— **შტატების შემცირება.** ამიერ-კავკასიის ცენტ. აღმასკომის საშტატო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დაწესებულებების შტატების შემცირების შესახებ. კომისიამ დაადგინა შემცირებულ იქნეს მოსამსახურეთა რიცხვი საგრძნობი პროცენტით. ეს დადგენილება ცხოვრებაში უნდა გატარდეს 2 კვირის განმავლობაში სათანადო პროექტის დამტკიცების დღიდან.

ქალაქის აღმასკომში.

— **მცირე პრეზიდიუმის არჩევა.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმში არჩეულნი იქნენ თავმჯდომარეთ ამხ. ლადო სუხიშვილი, მდივნათ ამხ. მესხი, წევრებათ: ამხ. ამხ. გეგეჭკორი და ელენტი.

— **დადგენილების დამტკიცება.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა, ქალაქის ფარგლებში მდებარე ბაღებისა და თავისუფალ მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ, დაამტკიცა კომუნალურ კოლლეგიის მიერ წარმოდგენილი დადგენილება, და სთხოვა იუსტიციის სახალხო კომისარიატს აუკრძალოს სახალხო ნოტარიუსებს ბაღებისა და მიწების ყიდვა-გაყიდვის საბუთების დამოწმება, თანახმად დეკრეტის № 17.

— **პროექტის დამტკიცება.** ამავე პრეზიდიუმმა დაამტკიცა დადგენილების პროექტი ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე სისუფთავის დაცვის შ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ, რომელიც გამოქვეყნებული იქნება ამ დღეებში.

— **იჯარის გადიდება.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა აგრეთვე კომუნალურ მეურნეობის დადგენილება, რომლითაც ქალაქის ბაღების და ბოსტნების საიჯარო გადასახადი გადიდებულ იქნა 15 პროც.

— **შრომის ბირჟის გარშემო.** პრეზიდიუმმა განიხილა შრომის სახალხო კომისარიატის მომართვა ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენით, რომ აღმასკომმა მიიღოს თავის ხარჯზე 4,565 მან. ოქროთი წლიურად შრომის ბირჟის ხარჯებიდან, და დაადგინა, აღნიშნულ შუამდგომლობის სავსებით დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას: მხოლოდ ეძლიოს თვიურათ 30 მილიონი მან. დახმარების სახით და განთავისუფლდეს ბინის ქირისაგან, რომელიც ამ ჟამათ უჭირავს შრომის ბირჟას.

— **ქალაქის აღწერის მასალები.** ქალაქის აღმასკომის ცენტრალურ სტატისტიკური განყოფილება შეუდგა ქალაქის აღწერის მასალების ძირითად გადამუშავებას. მასალები ამ დღეებში უნდა საბოლოოთ გადამუშავდეს და მოყვანილ იქნეს ცნობაში.

— **გადაუხდელთა წინააღმდეგ.** სამოქალაქო გადასახადის გამტარებელმა კომისიამ წინადადება მისცა სამისამართო მაგიდას სასწრაფოთ მოსთხოვონ სახლის პატრონებს, გამგეებს, კომენდანტებს და სახლების მოიჯარადრეებს მალე წარმოადგინონ ცნობები იმ მცხოვრებლებზე, რომლებსაც არ გადაუხდიათ სამოქალაქო გადასახადი. იმ სახლის პატრონებს კომენდანტებს, გამგეებს და მოიჯარადრეებს, რომლებიც თავის დროზე არ წარმოადგენენ ამ ცნობებს, მისცემენ თანახმად სავალდებულო დადგენილებისა პასუხისგებაში ე. ი. გადაახდევინებენ ჯარიმას 100 მან. ოქროთი და დაენიშნებათ სისხლის სამართლის გამოძიება.

— **გადასახადის მიღების შეწყვეტა.** სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიამ დაადგინა: 10 თებერვლიდან შეწყდეს რაიონებში გადასახადის მიღება. ყველა გადასახადის ამკრეფი გაგზავნილ იქნან კონტროლიორებათ. მათ ჩამოერთვათ შტამპები და მიეცესთ ხელზე მხოლოდ მარკები იმ მოქალაქეებზე გასაყიდათ, რომელთაც არ შემოუტანიათ გადასახადი. სახლის პატრონებს დაევალოს სამოქალაქო მოწმობები მარკებითურთ წარადგინონ უბნის სამისამართო მაგიდაში შესამოწმებლათ.

აღნიშნულ სამუშაოებისათვის კონტროლიორებს მიეცესთ გაყიდულ მარკებიდან შემოსულ ფულის 10 პროცენტი, სამისამართო მაგიდის თანამშრომელთ კი გადასახადის და განთავისუფლებულთა მოწმობების მიცემისათვის 5 პროცენტი.

განათლების კომისარიატში.

— **განათლების განყოფილებების გამგეების ყრილობა.** გუშინ თებერვლის 12-ს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა სრულიად საქართველოს განათლების განყოფილებების გამგეთა ყრილობა. ყრილობა გაარჩევს შემდეგ საკითხებს: 1) მოხსენება სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობისა—მომხსენებელი ამხ. მ. ორახელაშვილი. 2) მოხსენება პროფ. განათლების მთავარ მმართველობისა—მომხსენებელი ამხ. მგელაძე. 3) მოხსენებები ადგილებიდან. 4) მოხსენება სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ მომხსენებელი ამხ. ზუმბაძე. 5) მოხსენება საორგანიზაციო საკითხის შესახებ. 6) მოხსენება რუსეთიდან ჩამოტანილ საქართველოს ისტორიულ ნაშთებზე. 7) მოხსენება განათლების კავშირისა და მისი ორგანიზაციების დამოკიდებულების შესახებ.

დამზღვევ კასაში

— **ახალი პუნქტის გახსნა.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა დაადგინა მუშა-მოსამსახურეთა პენსია-დახმარების დასარიგებლად ტრამვაის პუნქტზე გახსნას კასა, რომელიც გასწევდება დიდუბის ნაძალადევის და სხვა მახ. რაიონის მცხოვრებლებისათვის, რითაც მოისპობა ის რიგები და უწესოებე, რასაც დღემდე ადგილი ქონდა ცენტრალურ კასაში აღნიშნულ პუნქტში 29 დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი მიიღებენ პენსია დახმარებას.

— **დახმარების გადიდება.** პრეზიდიუმის დადგენილებით უმუშევარ კასის წევრ მუშებს გაედიდათ დახმარება. აგრეთვე გადიდებულ იქნა პენსიებიც.

— **საკონტროლო კომისია ახალ ბინაზე.** სამკურნალო-საკონტროლო ექსპერტთა კომისია ჯანმთელობის კომისარიატიდან გადმოყვანილი იქნა დამზღვევ კასის ბინაზე.

სხვა და სხვა

— **სახელმწიფო დახმარება.** იანვრის განმავლობაში ქალაქის ულარიბეს მცხოვრებლებს აღმოეჩინათ შემდეგი დახმარება: პენსია დაენიშნა 48 კაცს. ყოველთვიური ერთდროული დახმარება 4. პენსიონერთა რიცხვი 1 თებერვლისათვის იყო 280. ერთდროული თვიური დახმარება ამ ჟამათ ეძლევა 28 კაცს. სულ დახმარებას ღებულობს 308 კაცი.

საბინსო, სასანიტარო და სამოქალაქო გადასახადებში შეღავათი მიეცა 136 პირს, ამათგან სასანიტარო და საბინაო გადასახადის შეღავათი მიეცა 62, ხოლო სამოქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლდა 74 პირი.

ერთდროული დახმარება მიეცა 9 კაცს—11,000 ათასი მანეთის სახით, ამერიკული ტანთსაცმელი მიეცა 91 კაცს, ამათგან შეღავათიან ფასებში 42 კაცს, ხოლო უფასოთ 49 კაცს.

შემოსავალი სახელმწიფო დამხმარე კასას ჰქონდა დეკემბრის განმავლობაში—დამშეულთა კომიტეტისაგან: 200 მილიონი მანეთი ხოლო იანვრის განმავლობაში 400 მილიონი. დაიხარჯა 170,700,000 მანეთი, ამათგან პენსიონერებს მიეცა 133,800 ათასი მანეთი, ერთდროული დახმარების სახით 11,900 ათასი მანეთი.

— **გულოლა კაიკაციშვილის გარდაცვალება.** ქობულეთში 8 თებერვალს გარდაიცვალა 83 წლის მოხუცი ქართველი მაჰმადიანი გულოლა კაიკაციშვილი. განსვენებული მაჰმადიანებში ერთად ერთი მოხუცი იყო, რომელმაც შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია და ქართული ენა. იგი გამუდმებით თანამშრომლობდა 1870 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთში და ათავსებდა საყურადღებო წერილებს ქართველ მაჰმადიანების გათვითცნობიერების შესახებ.

— **თბილისის მაჩვენებელი 1923 წ.** სიმშილის შედეგებთან ბრძოლის კავკასიის ცალკე არმიის კომისიამ და ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირმა გამოუშვეს ფერადი ლიტოგრაფიული მხატვრული პლაკატი, რომელშიაც მოთავსებულია ამიერ-კავკასიის რკინის გზების რუქა, სახელმწიფო ტრესტების და სინდიკატების და კერძო ფირმების პუბლიკაცია. იბეჭდება მეორე პლაკატი პირდაპირი მატარებლების (ბათომი-პეტროგრადი) და ცნობების წიგნაკი—„მთელი თბილისი ჯიბეში“.

ხელოვნება

— **ახალი მწერლობის კავშირი.** კვირას, 11 თებერვალს, ხელოვანთა სასახლეში შესდგა ახალი მწერლობის კავშირის მორიგი სხდომა. მოხსენება წაიკითხა ვახტანგ კოტეტიშვილმა შემდეგ თემაზე: „ალექსანდრე ყაზბეგი“. სიტყვა წარმოსთქვა გრიგოლ რობაქიძემ. ილაპარაკეს აგრეთვე მოსე თოიძემ და მიხეილ ბოჭორიშვილმა, მოხსენება საინტერესო იყო. დარბაზი სავსე იყო მსმენელებით.

დღეს თეატრებში

— სახელ. ოპერა.—„კარმენი“ ოპერის არტისტ ბორისენკოს მონაწილეობით რუსთაველის თეატრი—„მზის დაბნელება საქართველოში“—ქართულ ენაზე. ახალი სახლი—„ცრუ დიმიტრი და დედოფალი ქსენია“—გოლგოლინის და ვალევსკაიას მონაწილეობით. პროფკავშირთა კლუბი—სიმებიანი ორკესტრი. საბჭოთა თეატრი—ქართული წარმოდგენა კინო მინიონი—„წითელი ფანარი“, კინო არფასტო—„უხილავი ხელი“—მე-3 სერია კინო პალასი—„კაბირია“ კინო სოლეი—„ყვითელ სამკუთხედის რაინდებ“. კინო ზერკალნი—„ჯუნგლების საიდუმლოება“—მე-4 სერია.

პროვინციაში

ქ. ახალი სენაკი

(ახალ-სენაკის მოწაფეთა თვითმართველობის და ადკომების კრება)

ამა წლის 25 იანვარს ქალაქის საბჭოთა თეატრის დარბაზში შესდგა კონფერენცია სენაკის ყველა ტიპის და საფეხურების სკოლების მოწაფეთა თვითმართველობის წარმომადგენლებისა.

კრებას დაესწრო ას-თერთმეტი დელეგატი; კრება იყო მოწვეული ადგილობრივი განათლების განყოფილების გამგის და ინსტრუქტორის თაოსნობით და ხელმძღვანელობით.

დღიურ წესრიგში იდგა: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ორგანიზაციული საკითხები (როგორიც არიან: თვითმმართველობის მუშაობის გაჩაღება, სკოლაში დისციპლინის დაცვა, სამკითხველოს საქმეები და სხვა) და მე-3) მოწაფეთა დაშვება კულტურულ გასართობებზე.

მოხსენებებს აკეთებენ ყველა სკოლის წარმომადგენელნი—მოწაფეები. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მოწაფეთა თვითმართველობა არც ისე „კაციჭამია“ ყოფილა, როგორც ეს ეგონათ ზოგიერთ ძველ „გამოცდილ პედაგოგებს“. თვითმართველობა ცურმე ყოფილა მოწაფეთა და საერთოდ სკოლის ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილება, რასაც დღემდის ხელოვნურად აჭერებდენ და ძირშივე კლავდენ ძველი—დახავსებული ბურჟუაზიული სკოლის მასწავლებლები. მოხსენებებმა დაამტკიცეს, რომ მოწაფეთა თვითმართველობა ყოფილა ხიდი მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის, მასთან სკოლა მოწაფეთა ნებისყოფა—აქტივობის გამოსამუშავებლად და მათი სახელმწიფოს მომავალ წევრებად აღსაზრდელად.

მასწავლებელთა ხელმძღვანელობით თვითმართველობას გამოუმუშავებია სასკოლო კონსტიტუცია; თვითმართველობის მიერ მიღებულ ზომებს სასკოლო დისციპლინის დასაცავად სასურველი შედეგი მოუტანია. მოწაფეებმა გამოსთქვეს აზრი, რომ თვითმართველობას, როგორც აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება და ამ მხრით გაღრმავებულ იქნას მუშაობა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონკრეტიულ მუხლებათ იქნა ჩამოყალიბებული და მიღებული თვითმართველობის მომავალი მუშაობის გეგმა. სხვათა შორის, სავალდებულოდ მიღებულ იქნა გაზეთების გამოწერა ყველა კლასებისათვის.

მოწაფეთა დაშვება წარმოდგენებზე და სხვა გასართობებზე ნებადართული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის წარმოდგენა-სურათი ან სხვა სანახაობა თავისი ფორმა-შინაარსით ხელს უწყობს მოზარდ თაობის გონებრივად და ზნეობრივად აღზრდის საქმეს. ყოველი წარმოდგენის წინა დღეს განათლების განყოფილების გამგის მიერ გამოცხადებული იქნება, დასაშვებია თუ არა მოწაფეები ამ წარმოდგენაზე. ადგკომების და თვითმართველობის წევრებს დაევალათ თვალყურის დევნება თეატრში მოწაფეთა ყოფაქცევის მიმართ.

გარნადარ.

გორი

2 თებერვალს სადგ. გორის ადგილკომში მოხდა კრება რაიონის რწმუნებულების და ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეებისა. კრებაზედ დაესწრნენ თბილისიდან ამხ. გალუსტოვი, პრუსეცკი და დანდუროვი. კრების უმთავრესი საკითხი იყო დელეგატების არჩევა თბილისის უბნის 4 ყრილობაზე გასაგზავნათ. არჩეულ იქნენ რვა დელეგატი. კრებაზე გააკეთა მოხსენება ამხ. გალუსტოვმა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; ვრცლად და გარკვევით გააცნო დამსწრენ საფრანგეთის ბურჟუაზიის თავხედი მოქმედება, მათი მშვიდობიანი მცხოვრებლების აწიოკება და საერთოთ რურის ოლქის ოკუპაციის საკითხი, რომლის მიზანიც არის საფრანგეთის ბურჟუაზიის უძირო ჯიბის და გაუმაძღარი მადის დაკმაყოფილება და გერმანიის პროლეტარის იმდენათ დაუძლურება, რომ სამუდამოთ იქნენ უზრუნველყოფილნი მისი თავდასხმისაგან. გამოსთქვა აზრი, რომ მიუხედავათ ჩვენი თანაგრძნობისა გერმანიის პროლეტარიატის მიმართ, ჩვენ მათ ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევთ, სანამ ისინი იქნებიან სოციალ-გამყიდველების ანკესზე წამოგებულნი. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება ამხ. გალუსტოვისა კრება უცხადებს ზიზღით სავსე საყვედურს, როგორც საფრანგეთის ბურჟუაზიას, ეგრეთვე შემთანხმებელ და სოციალ-გამყიდველ პარტიებს, უერთებთ ჩვენ პროტესტს თფილისის მუშამოსამსახურეების პროტესტს და ვაცხადებთ საჯაროთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის პროლეტარიატი დაამხობს ბურჟუაზიას და გამოუცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას—ჩვენ არ დავზოგავთ უკანასკნელ სისხლის წვეთს და გაუწვდით ჩვენ დაჩაგრულ ძმებს პროლეტარულ მაზოლიან და ძარღვიან ხელს.

ვ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომი აძლევს წინადადებას გამოცხადდენ რაიკომის „აგიტპროპ“-ში შემდეგ ამხანაგები: ავაქოვი, ვართანოვი (უმ. სამ. საბ.), არ. როდოვიანი, ხაჰაპურიძე, ბახტოვი, გინზბურგი, ლიადოვსკი, ნ. ზავალიანი, არჩ. მიაძე, რუხაძე, შვერდოვა და სურ. ერზიკიანი.

— სამშაბათს 13 თებერვალს და შაბათს 17 თებერვალს საღამოს 5 საათზე გაიმართება განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების სამმართველოსთან არსებულ წრის კრება საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში. ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— ოთხშაბათს 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე სკოლის გარეშე სწავლების სახლში გაიმართება სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვან. ამხ. პენიაკოვი.

— ოთხშაბათს 14 თებერვალს და შაბათს 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე გაიმართება ბეჭდვითი საქმის მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვან. ამხ მედვედიევი.

— შაბათს 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლაში გაიმართება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღ. ამხ. ნოვიკოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილება.

ახალგაზრდათა კომკავშირის იაჩეიკების მუდმივ სახელმძღვანელოთ, ახალგაზრდათა შორის ერთია დღის, საქართველოს კომპარტიის მეოთხე რაიონული კომიტეტი ამაგრებს ახალგ. კომკავშირთან შემდეგ ამხანაგებს:

1. ლიოზნიანსკაია—იაჩეიკა ექსპედიციის.
2. დუბროვინა—იაჩეიკა ქალაქის აღმასკომის.
3. ამო ბრუთინოვი—იაჩეიკა მეტყავეების.
4. სტეფანიანი—იაჩეიკა საქ. საგ. კომის.
5. დევდარიანი გაიოზ—იაჩეიკა საქ. საფაბრ. მოსწ ვლ.
5. ხაცკევიჩი—იაჩეიკა ელექტროტეხნიკ.

ყველა გამორჩეული ამხანაგები შედიან აგრეთვე საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის მეოთხე რაიკომის პროპ-კოლექტივში.

ზემო აღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ 3 დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. ახ. კომკავშირის მეოთხე რაიკომის მდივანთან.

პასუხისმგებელი მდივანი რუბენი.

— ოთხშაბათს, 14 თებერვალს დღის 1 საათზე ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ტფილისის კომიტეტის ბინაზე იწვევს პოლიტიკურ და მარქსისტულ წრეების და რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგეობის თათბირს.

მოწვეული არიან შემდეგი ამხ.: გალკინი, რეუტსკი, გეგეშიძე, აპენიონსკი, ანთიძე, ბუდილოვი, ზილბერმანი, პენიაკოვი, ფრანგულიანი, ერქომაიშვილი, ვარდ ნინონი ფლორა, ბარინოვი, სურავენკოვი, ბექანოვი, დქავვიონი, სტეპანიანი, მედვედევი, კვირიკაძე, მარუკიანი, კარაგულიანცი, ჯაფარიძეები სერგო და ალექსანდრე, კოსტანიანი, სარპატიანი, საიანი, თალაკვაძე, ელისაბედაშვილი და ნოვიკოვი.

დღის წესრიგი:

1. პოლიტიკურ წრეებში და რაიპარტკომში მუშაობის მეთოდების შესახებ.
2. რაიპარტსკოლების პროგრამის შესახებ.
3. მიმდინარე საქმეები

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოთხე რაიკომი იუწყება, რომ 14 თებერვალს, ხუთ საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება მეოთხე რაიკომის წევრების და კანდიდატების საერთო სარაიონო კრება.

რაიკომის პასუხისმგებ. მდივანი რუბენი.

პროფესიონალური

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭო წინადადებას აძლევს ამავე უნივერსიტეტის კურსისა თუ ფაკულტეტის, სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეების გამგეობებს და ყველა სტუდენტურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ შტამპები და ბეჭდები, სამი დღის ვადაში ჩააბარონ ასეთები სტ. საბჭოს ტეხნიკურ მდივანს უნივერსიტეტის შენობაში, საბჭოს ოთახში, დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

სტუდენტთა საბჭო.

— სამშაბათს 13 თებერვალს საღამოს 6 საათზე პროფ. კავ. საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საქ. პროფკავ. საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) უმუშევართათვის ბირჟისაგან დამოუკიდებლად სამუშაო ადგილის გამოძებნის უფლების მინიჭების შესახებ.
2) საბინაო კოოპერატივის შესახებ.
3) საბინაო განყოფილების გაუქმების შესახებ.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

სასურველია დასწრება საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებისა და ადგილკომების წევრთა.

განცხადებები

დღეს 13 თებერვალს
რუსთაველის თეატრი
მზის დაბნელება საქართველოში
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კრ. 172—1—1

დღეს, 13 თებერვალს,
სახელმწიფო ოპერა
კარმენ
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
კრ. 172—1—1

ახლო მომავალში თბილისში, სომხის ბაზარი სახ. № 6 (ყოფ. ტვერის მანუფაქტურის შენობაში)
გაიხსნება
სრულიად-რუსეთის საფეიქრო სინდიკატის
ტფილისის განყოფილება,
რომლის მიზანს შეადგენს რ. ს. ფ. ს. რ. მსხვილ ფაბრიკებში დამუშავებულ მანუფაქტურულ საქონელით ბითუმათ ვაჭრობის წარმოება ამიერკავკასიაში; როგორიც არის მაგალითად წარმოებები:
ბამბის, აბრეშუმის, სელის, მატყლის, მაუდის, ტრიკოტაჟის, მაფები, ნართავები და სხვა საქონელი.
სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს—ნისიათ.
სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის რწმუნებული:
ვ. ვ. არხანგელსკი.
ქ. თბილისი, სასტუმრო „ორიანტი“ ოთახი, № 25.
კრ. 171—3—1

აკადემიკოს ს. გ. ნავაშინის იუბილეს გამო

წვლილი 18 თებერვლის საღამოს ბანკეტზე განსაზღვრულია პიროვნებაზე 600,000 მანეთის რაოდენობით.

(120—1—1) **საიუბილეო კომისია.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ მან დაამზადა
10 ვერსიანი
გეოგრაფიული რუქა საქართველოსი,
ქართულ ენაზე, 4 დიდ ფურცელზე, და იყიდება ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე 3 მანეთად კერძო დაწესებულებებზე და პირებზე 5 მანეთად ოქროთი
ყიდვა
შეიძლება შინაგან საქმეთა კომისარიატში: ევანგულოვის ქუჩა, № 2 |ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობა| მესამე სართული, ოთახი № 20.
(კრ. 170—2—2)

განცხადება

თანახმად ს. ს. ს. რ. კომისართა საბჭოს № 4 დადგენილებისა, ოქრო-ვერცხლის ნაწარმოებზე სასინჯო გადასახადი ამიერიდან იანგარიშება ოქროს კურსით შემდეგი ნიხრით.

ოქრო:

საქართველოს რესპუბლიკაში დაბზადებული ნაწარმოების 1 მისხალზე	60 კაპ.
უცხოეთში ,, ,,	80 ,,
საათი 33 ნახ. მილიმ. ციფერბლატით	3 მან.
,, 33 ნახ. მილიმ. ნაკლები ციფერბლატებით	1 ,,
ზოდი 1 მისხალი	10 კაპ.
ოქროს ფურცლები ქაღალდით	15 ,,
,, ,, უქაღალდოთ	10 ,,
წინასწარი თითო სინჯი	3 მან.

ვერცხლი:

საქართველოს რესპუბლიკაში დამზადებული ნაწარმოების 1 მისხალზე	3 კაპ.
უცხოეთში ,, ,,	4 ,,
საათები	50 ,,
ფურცლები ქაღალდით	3 ,,
,, უქაღალდოთ	6 ,,
ზოდი 1 მისხალი	5 ,,
წინასწარი სინჯი მუფელით	2 მან.
,, ,, გელიუსაკით	5 ,,

ა | ქ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში
ბ. ბიბინეიშვილი.

სასინჯო პალატის გამგე **ნიშნიანიძე.**

კრ. 174—0—1

დაკარგე უმუშევრობის წიგნაკი, მოცემული საექიმო სასანიტარო შრომის ბირჟიდან № 625 | 91 ელენა ლუკას ასული იობიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (117—1—1)

სახლი
მდიდრულად მორთული, განმარტოებული, [illegible] ნით, ვისაც სურთ სასწრაფოთ [illegible]
იყიდოს და გაყიდოს
მიმართოს დავიდოვის ქ. № 3, ბინა 2. 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

აცხადებს,

რომ ამხ. კამოს ძეგლის პროექტების მიღება გრძელდება 20 თებ[illegible]ლამდე, რის შემდეგ წარმოდგენილი პროექტები განხილული არ იქნებ[illegible] პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნას აღმასკომის სამდივნოში, აქვე შე[illegible]ძლება ამ საკითხის შესახებ ყოველგვარ ცნობების მიღება დილის 10 ს[illegible]თიდან 3 საათამდე.

(კრ. 175—2—1) **პრეზიდიუმი.**

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო
სატსამზო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამზო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ-სენაკში.
ყველაფერი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—5

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგიასი
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკ[illegible] № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—11)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ[illegible] ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძ[illegible]ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—11)

დოქტორი გ. მეგრაბიანცი
„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“
შინაგანი ფილტვების—ჭლექი და გულის ავადმყ. სპეც. წამლობა მალა[illegible]
შეშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 საათამდე დღის და 5—7 ს. საღამოს.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (684—25—

ქ. ტფილისის მე-9 რაიონის სახ. მოსამართლ

იწვევს სახალხო სასამართლოში, ტურგენევის ქ. № 4. სერგო ალექსან[illegible] ძე პანინს, რათა გამოცხადდეს იგი ხსენებულ სასამართლოში ორი თვის [illegible] მავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან წარმოსადგენათ [illegible] მისამართისა, საქმეზე, რომელიც აღძრულია სასამართლოში მისი მეუ[illegible] ვერა ვასილის ასული პანინის მიერ განქორწინების შესახებ, წინააღ[illegible] შემთხვევაში უწყება მის სერგო პანინის სახელობაზე დატოვებული სას[illegible] თლოს კანცელარიაში ჩაითვლება ჩაბარებულად და საქმე არსებითი [illegible] ლული იქნება სასამართლოს მიერ. (119—1—

საჩხერის უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გადაცვალებულ მცხოვრებ დ. საჩხერეში შორაპნის [illegible] რისა ეფთვიმე ფარსადანის ძე ქამუშაძისას, რათა მათ დღიდან ამ გან[illegible] დებისა, ოთხი თვის განმავლობაში, განაცხადონ თავიანთი უფლება მის [illegible] ნატოვარ ქონებაზე.

(118—1—1) სახალხო მოსამართლე (ხელს აწერ

გორის უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს გორის უბნის სახალხო სასამართლოში ორი კვირის განმავლ[illegible] დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, მოქალაქე ნინო გრიგორის ბერიტაშვილისას, დაბადებით გაიევისა, რათა იგი გამოცხადდეს ზემო[illegible] შნულ სასამართლოში პასუხის მისაცემად ევსეი სოლომონის ძე ბერი[illegible] ლის მიერ აღძრულ საქმეზე მასთან განქორწინების შესახებ.

(121—1—1) სახ. მოსამართლე **გ. კოშო**

სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ეკონომიური განყოფილება

ამით აცნობებს ყველა სამრეწველო დაწესებულებებს
სავალდებულო რეგისტრაციის
შესახებ, თანახმად ს. მ. უ. ს. 6 იანვრის 1923 წ. № 21 დადგენილებისა:

რეგისტრაცია სწარმოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებების დილის 9—12 საათამდე, კერძო დაწესებულებების 12—3 საათამდე ორშაბათიდან **12 თებერვლიდან** ეკონომიურ განყოფილებაში პუშკინის ქუჩა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შენობაში.

წარმოებები, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში № 21 დადგენილებაში დაწესებულ დრომდე, დაჯარიმებულ იქნებიან 1000 მან. ოქროთი.

პროვინციაში რეგისტრაცია სწარმოებს კომუნალურ განყოფილებებში.

(168—3—3)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.